გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(233) 2021 წ. 1-15 თებერვალი ფასი 1 ლარი

8 თებერვალი – დავით აღმაშენებლის ხსენების დღე!

გიორგი ლეონიძე

დავით აღმაშენებელს

შენის დიდებით აშუქე მთები,
შენს ნაამაგარს ზღვები გალობდნენ,
ხმლით განამტკიცე შენ საქართველო
დარუბანდიდან რკინის პალომდე.

თვით უმორჩილო ზღვას დასდევ ხელი,
შეაბი რკინის კარი დარიალს,
შენგან დადგმული ქვაკუთხედები
ახლაც ისევე დაუმდნარია.

შენი ნამუხლი სჩანს ხეობებში,
შენი სახელი ვის არ ელოცა,
საკუთარ შუქით გამოუზარდე
დღე ხვალინდელი საქართველოსა!

შენი ხელთქმნილი არის სამშობლო,
ვინ დაგეწონა ძველად, რომელი? –
ბრძენი შენებრი განგებიანი,
შენებრ მხედარი დაუდგრომელი!

ლომო, აღმდგარო სამშობლოსათვის,
დროშა ძლევისა გყავდა მხლებელი,
ვინ გადეხვეწა ცხენით შენს მახვილს,
რომელი ჩვენი მაოხრებელი, –

არაბიელი, თურქმანი, სპარსი
და ვინც მოჭამა ჩვენი ქვეყანა,
შენს მკლავს ხმალაწვდილს,
საზღვართა გარე,
როგორც ზღვის ქვიშა გადაეყარა!

აბჯრის ჩხერაში, ხმალთა ელვაში,
მზერდი მომავალს შორს გამხედარი
და იდექ სვეტად საქართველოსი,
ვეფხვი ფრთიანი, ნათლის მხედარი.

როცა მადლობას ყველა იმსახურებს

პანდემიის პირველი ტალღა საგარეჯოს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კოვიდ ცენტრში, ისე როგორც მთელს ქვეყანაში, გასული წლის ნოემბრის თვიდან დაიწყო. თუმც მისი წინამორბედი გახლდათ „ცხელების ცენტრი“,რომელიც ფუნქციონირებდა აპრილიდან ნოემბრის თვემდე და სადაც ამ პერიოდში სტაციონარული მკურნალობა დაახლოებით 800ზე მეტ ცხელების და კოვიდ ინფექციაზე ეჭვის მქონე პაციენტს ჩაუტარდა. საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსის კოვიდ ცენტრი“, თავისი საწოლ ფონდით ერთ-ერთი ყველაზე დიდ სამედიცინო დანაყოფს წარმოადგენს კახეთის რეგიონის მასშტაბით.ამიტომ პანდემიის პერიოდში ცენტრი სტაციონარულ სამედიცინო მომსახურეობას უწევს არა მარტო კახეთის , არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ კოვიდ ინფიცირებულ მძიმე პაციენტებს. ნოემბრიდან დღემდე აქ 300ზე მეტ კოვიდ ინფიცირებულ პაციენტს ჩაუტარდა ანტივირუსული მკურნალობა.თითოეული ჩემი კოლეგისთვის დაუვიწყარი იქნება ნოემბრის საღამო, როდესაც სხვადასხვა რეგიონებიდან სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა ერთბაშად შემოიყვანეს 30-ზე მეტი პაციენტი, რომელთა უმრავლესობა მძიმე და კრიტიკული მდგომარეობის კატეგორიის პაცენტებს განეკუთვნებოდა.პაციენტთა

დასასრული მე-6 გვერდზე

პანდემია და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

როცა გამოწვევებს ადეკვატურად და დროულად პასუხობ

მსოფლიოში დაავადება „კოვიდ-19“-ის აფეთქებამ პლანეტის მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა. შიშმა, დეპრესიამ, უარყოფითი ფაქტორების მოზღვავებამ ადამიანებს ცხოვრების წესი შეუცვალა. ყოველდღიურობის დღის რეჟიმში დადგა საკუთარი ჯანმრთელობის მოფრთხილება და ზრუნვა სხვა ადამიანების ჯანმრთელობაზე. მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი მედმუშაკთა საქმიანობის, ასევე მათთან საუბრისას ინტერესი მათი, თუნდაც ფაბიტუსის მიმართ. პანდემიის პირველი ხანებიდანვე რაოდენ დამამშვიდებელი აღმოჩნდა ჩვენი პროფესიონალი ექიმების საუბრები მედიის საშუალებით. ჩვენდა სასიხარულოდ, კოვიდინფექციამ კარგა ხანს ვერ „შემოაბიჯა“ კახეთში, თუმცა,ჩვენი მუნიციპალიტეტის შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს სამედიცინო ცენტრი ყველანაირად მომზადებული შეხვდებოდა პირველ პაციენტს – ცენტრის სამედიცინო დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ჯიჭიამ პანდემიის დაწყების დღიდან დირექტორიდან დაწყებული ბოლო პოზიციაზე მყოფ თანამშრომლებთან ერთად „მთლიანად შეცვალა“ სამუშაო დღის რეჟიმი და ის თითქმის 24 საათიანი, 48 საათიანიც კი გახდა. სწორედ ეს იყო დამამშვიდებელი ეფექტი ჩვენი მოსახლეობისათვის, ეფექტი, რომელმაც მართლაც კარგად „იმუშავა“ და დღესაც განაგრძობს ასე მუშაობას.

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით ბ-ნ დავითს და ჩვენი საუბარიც იმ მადლიერების სიტყვებით დაიწყო, რასაც ჩვენი და არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გამოთქვამს მათ მიმართ.

როგორც ბ-ნმა დავითმა საუბარში აღნიშნა: – ცენტრი პანდემიის დაწყებიდან სახელმწიფო პროგრამაში „ცხელების ცენტრის“ სტატუსით გასული წლის აპრილიდან ნოემბრამდე ემსახურებოდა არა მარტო ჩვენი მოსახლეობის, არამედ კახეთის რეგიონისა და სხვა რეგიონების კოვიდინფიცირებულ პაციენტებს.

დიახ, ცენტრის ინფრასტრუქტურის მოთხოვნათა დონეზე განახლებით, ადამიანური რესურსების მიზანმიმართულად გამოყენებით, დღეს ჩვენს კოვიდ-ცენტრს ღირსეულად შეუძლია სრულად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც დაავადება „კოვიდ-19“-მა დააყენა მსოფლიოს ჯანდაცვის დღის წესრიგში. ჩვენთან შესაძლებელია შესაბამისი მკურნალობები გაეწიოს მძიმე და კრიტიკულად მძიმე, საშუალო სიმძიმის კოვიდპაციენტებს. ცენტრის ჟანგბადის სისტემით აღჭურვამ უზრუნველყო ჟანგბადდამოკიდებული პაციენტებისათვის ჟანგბადის უწყვეტი მიწოდება. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს ცენტრში 10 ნოემბრიდან დღემდე (9 თებერვალი) 1000-ზე მეტ უმძიმესი ფორმის მქონე კოვიდინფიცირებულს გაეწია სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება. რაც შეეხება კოვიდპაციენტთა ლეტალობის მაჩვენებელს, ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ეს ციფრი – 15-ია. დღესდღეობით სამედიცინო მომსახიურეობას განსაკუთრებით აიოლებს გაიდლაინებით მუშაობა, რაც უფრო მობილურს ხდის მედიკოსთა საქმიანობას, ავლენს მათ მაღალპროფესიონალიზმს, დადებითად მოქმედებს პაციენტებზე, ამაღლებს მკურნალობის ხარისხს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი – მედმუშაკთა სამსახური პანდემიის დროს მაღალი რისკის შემცველია, ამიტომაც ცენტრის მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სისტემატურად მოწმდება, რის შედეგადაც შიდა დაინფიცირების მაჩვენებელი 2%-ია. აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ მათგან ზოგიერთის დაინფიცირება მოხდა გარეთ და არა ჩვენს ცენტრში.

ჩვენი მუშაობა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტის მიერ შემოწმებული დასკვნებით დადებითად შეფასდა, რაც თითოეული ჩვენი თანამშრომლის დამსახურებაა.

მიუხედავად ჩვენი ყოველდღიური დაძაბული საქმიანობისა, ცენტრი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მშობიარის დახამარებისა თუ ქირურგიული ტრავმებით შემოსულ პაციენტებს და ახდენს მათ გადანაწილებას სხვადასხვა სამედიცინო ცენტრებში.

მინდა ჩვენს მოსახლეობას ვთხოვო, გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას, დაიცვან ყველა მითითებული რეგულაცია.

გარეჯი საქართველოა!

„ვითმენდი, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო!“ - რას ჰყვება კარტოგრაფი, რომელიც სკანდალური რუკის ექსპერტიზაში მონაწილეობდა

“ქართული კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული სკოლების ფუძემდებლის, სერგი ცხაკაიას პასუხისმგებელი რედაქტორობით გამოცემულ რუკას ივერი მელაშვილი აყენებს ეჭვქვეშ?”

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილ წევრების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას გირაოთი გათავისუფლების შემდეგ ამ საკითხის ირგვლივ ვნებათაღელვა არ წყდება. გასულ კვირას გაზეთ “კვირის პალიტრაში” ბრალდებულ ივერი მელაშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა. ის ამტკიცებდა, რომ რუკა, რომელზეც დიდი აჟიოტაჟი ატყდა, უვარგისია და მისი გამოყენება შეუძლებელია, მაგრამ საქმეში არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, რითაც სულ სხვა რამ მტკიცდება. ამ ექსპერტიზაში პროფესიონალი კარტოგრაფები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრის პროფესორი, კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი*** **თენგიზ გორდეზიანი.**

- ბატონო თენგიზ, ივერი მელაშვილი 1938 წლის 1:200 000 რუკას ყალბ 100-ლარიანს ადარებს და ამბობს, ეს იგივეა, ყალბი ფული დაუდო მეორე მხარეს და დაუწყო მტკიცება, რომ ის ნაღდიაო. რას იტყვით ამაზე?

- 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა შედგენილია მიუფლინგის მრავალწახნაგა კარტოგრაფიულ პროექციაში, ამ პროექციაში ადგენდნენ ტოპოგრაფიულ რუკებს 1942 წლის ჩათვლით. 1942 წლის შემდეგ, 1991 წლამდე, ტოპოგრაფიულ რუკებს გაუს-კრიუნგერის ცილინდრულ პროექციაში ადგენდნენ. ამ ორივე პროექციას ერთი და იგივე საკოორდინატო ბადე აქვს. საერთოდ, მათემატიკურ კარტოგრაფიაში ცნობილია, რომ თუ ორ პროექციას ერთი და იგივე კარტოგრაფიული ბადე აქვს, ე.ი. საკოორდინატო ბადე ერთი და იგივეა და ასეთ შემთხვევაში რამის დამახინჯება გამორიცხულია, ანუ რუკები იდენტურია, მხოლოდ პროექცია შეიცვალა. ამ პროექციებს თავისი ავტორები ჰყავს. მიუფლინგი პრუსიელი ფელდმარშალი, სამხედრო ტოპოგრაფი იყო. მეორე პროექციას ორი ავტორი ჰყავს - გაუსი და კრიუნგერი, გერმანელი მათემატიკოსი და გეოდეზისტი... მთავარი ის არის, რომ განსხვავება საკოორდინატო ბადესა და სისტემაში არ არის. 1937 წლით არის დათარიღებული 200 000-იანი რუკა, რომელიც შედგენილია ენ-კა-ვე-დეს, ანუ შინსახკომის დაკვეთით. ტოპოგრაფიულ რუკას პასუხისმგებელი რედაქტორი ჰყავდა და მას ხელს აწერს სერგი ცხაკაია.

იგი ქართული კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული სკოლების ფუძემდებელი გახლდათ. სწორედ სერგი ცხაკაიამ შექმნა გასული საუკუნის 30-იან წლებში კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი - საქართველოში სამხრეთის საზღვრების მსხვილმასშტაბიან ტოპოგეოდეზიურ აგეგმვებს და სწორედ ამის საფუძველზე დგებოდა ტოპოგრაფიული რუკები. მან გაზარდა აკადემიკოსი ალექსანდრე ასლანიკაშვილი, რომელმაც ფურორი მოახდინა კარტოგრაფიაში და მთელი მსოფლიო აალაპარაკა. თავის მხრივ, ასლანიკაშვილმა კარტოგრაფების მთელი პლეადა აღზარდა, მათ შორის - მეც. ვსვამ კითხვას: ისეთი პიროვნების, როგორიც იყო სერგი ცხაკაია, პასუხისმგებელი რედაქტორობით გამოცემულ რუკას ივერი მელაშვილი აყენებს ეჭვქვეშ? ტოპოგრაფიული რუკა ნიშნავს სიზუსტეს, მსხვილმასშტაბიანობას, დეტალურმასშტაბიანობას; მასზე ზედმიწევნით არის ასახული ყველაფერი - საზღვარიც, წერტილიც, სტრატეგიული სიმაღლეც და ა.შ., ანუ ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ. სერგი ცხაკაიას ხელმოწერით დაიბეჭდა 1937 წელს ეს რუკა, რომელიც 1932-33 წლების ტოპოგეოდეზიური აგეგმვების საფუძველზეა შედგენილი. თვითონ ცხაკაია ხელმძღვანელობდა ამ აგეგმვებს. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა პროფესიით კარტოგრაფები არ არიან და ასეთი ხალხი აყენებს ამ რუკას ეჭვქვეშ?

ამ რუკის შედგენის დროს გამოყენებულია შემდეგი კარტოგრაფიული მასალები: 1) 1880-1900 წლების ინსტრუმენტალური ტოპოგეოდეზიური აგეგმვის მასალები მასშტაბით 1:42 000 (ე.ი. 1 სმ-ს შეესაბამება 420 მ); 2) საქნავთის 1930-1933 წლების აგეგმვის მასალები მასშტაბით 1:50 000 (1 სმ-ს შეესაბამება 500 მ); 3) ხუთვერსტიანი რუკები მასშტაბით 1:210 000 (1 სმ-ს შეესაბამება 2,1 კმ).

თურმე სერგი ცხაკაიას არ სცოდნია ტოპოგრაფია და სცოდნია მელაშვილს! ამდენი ხანია ვითმენ ამ უაზრო და შეურაცხმყოფელ განცხადებებს ქართული კარტოგრაფიული სკოლის მიმართ, რომლის წევრი მეც გახლავართ, მაგრამ როდესაც მტკივნეულზე განსაკუთრებულად დაგადგამენ ფეხს, სიმართლე უნდა თქვა. ისიც ვერ გავიგე, რატომ უწოდებენ ამ საქმეს კარტოგრაფთა საქმეს, როცა არც ერთი მათგანი კარტოგრაფი არ არის! ამჟამად საქართველოში მხოლოდ 3-4 მეცნიერ-კარტოგრაფია. იმისთვის, რომ იყო მეცნიერ-კარტოგრაფი, უნდა გქონდეს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო სტატია (მათ შორის უცხოეთშიც), მონოგრაფია, სახელმძღვანელო. რუკის ადეკვატურად წაკითხვა არ შეუძლიათ და ნუ იღებენ საკუთარ თავზე ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს! მიწათმოწყობა სულ სხვა სფეროა, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მიწათმოწყობა - ერთი მხრივ და კარტოგრაფია (რომელიც უზარმაზარი სისტემაა) - მეორე მხრივ. გასაგებია, რომ მიწათმოწყობაც რუკასთან მიდის, მაგრამ ეს არ არის კარტოგრაფია.

ამდენ ხანს ვითმენდი, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო! ივერი მელაშვილმა თავისი განცხადებებით საკუთარ დანაშაულს კიდევ ერთი დაუმატა და მიცვალებულს, სერგი ცხაკაიას მიაყენა შეურაცხყოფა. მას რომ ვუჩივლო ცილისწამებისა და მიცვალებულის შეურაცხყოფისთვის, პასუხისგება მოუწევს. კარტოგრაფი ჯანსუღ კეკელია ეომებოდა ამ კომისიას და ბოლოს გამოიქცა იქიდან. ეს ჯანმრთელი კაცი ამ საკითხზე ნერვიულობით დააავადეს და დღეს მელაშვილი ამ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკას ყალბ ასლარიანს ადარებს! როგორ შეიძლება ეს თქვა რუკაზე, რომელსაც პასუხისმგებელი რედაქტორის რანგში აწერია სერგი ცხაკაიას გვარი.

- როცა ვკითხე მელაშვილს, რით ასაბუთებთ რუკის სიყალბეს-მეთქი, მიპასუხა, ამ რუკაზე დატანილ ელემენტებში 400-500-მეტრიანი ცდომილებებიაო...

- ამ რუკის მასშტაბის ზღვრული სიზუსტე 2 მეტრს შეადგენს და თუ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკას 400-500-მეტრიანი ცდომილება აქვს, მაშინ მას კარტომეტრიაში ახალი აღმოჩენა გაუკეთებია. ეს ხომ სასაცილოა!

მელაშვილისგან არავინ არაფერს ითხოვს, საერთოდ შეეშვას ამ საქმეს. მე რაში მაინტერესებს მისი დაპატიმრება, მეცნიერი-კარტოგრაფი ვარ, პედაგოგი, პროფესორი, მაგრამ არ არის ლამაზი, როცა სახალხოდ გაიძახის: “დავითგარეჯის ის ნაწილი საქართველოსი არასოდეს ყოფილა და რატომ ვითხოვთ იმას, რაც ჩვენ არ გვეკუთვნისო”. წარმოიდგინეთ, ამას ამბობს, როცა რუკებზე ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ არის ასახული! სტუდენტების მთელი არმია მყავს, პატრიოტი ახალგაზრდები. ეს თაობა ძალიან მგრძნობიარეა ასეთი ეროვნული საკითხებისადმი და ისინი აღშფოთებული არის მისი განცხადებებით.

- ჯანსუღ კეკელია თავის პოზიციას მაშინაც საჯაროდაც გამოხატავდა. წლების წინ “კვირის პალიტრაშიც” დაიბეჭდა ჯანსუღ კეკელიას ინტერვიუ. თქვენთან პირად საუბრებში ხომ არ უთქვამს, კომისიაში ვინ ეწინააღმდეგებოდა მის პოზიციას?

- ტყუილს ვერ ვიტყვი, კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია. ბატონი ჯანო ამბობდა, რომ ვეუბნები, თხემზე არ შეიძლება საზღვრის გატარება და რუკების მიხედვით ასე არ არის, არ ესმითო. ამბობდა, ვეუბნები, რომ ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის 1996 წლის შეთანხმების პროტოკოლში შავით თეთრზე წერია, რომ საზღვარი 1938 წლის მდგომარეობით უნდა განისაზღვროს, ამ რუკაზე კი ყველაფერი ასახულია, მაგრამ არ ესმითო.

1938 წელს გამოცემულია ორი რუკა. ერთ-ერთი სწორედ ის, რომელსაც მელაშვილი ყალბ ასლარიანს ადარებს, არადა ეს არის ფასდაუდებელი რუკა. ქრონოლოგიურად, ამ რუკის შემდეგ და მისივე საფუძველზე (ეს პროცესი კარტოგრაფიაში კარტოგრაფიულ გენერალიზაციად იწოდება) 1938 წელს დაიბეჭდა 1:500 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის პლანშეტები. თუ მაინცდამაინც 1:500 000 მასშტაბის რუკის გამოყენება უნდოდათ, გამოეყენებინათ ეს რუკა, რომელზეც ქართველთათვის ეს საკრალური ისტორიული საკულტო ძეგლი მთლიანად საქართველოს საზღვრებშია (ბერთუბნის მონასტრის გამოკლებით). აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ 1:500 000 მასშტაბის (კედლის) რუკას (თუნდაც პლანშეტებით) არავინ იყენებს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში. არ მესმის, როგორ უნდა მონიშნო საზღვარი, როცა 1 სანტიმეტრში 5 კილომეტრია? როცა სასაზღვრო ზოლის სიგანე 20+20 მეტრია, როგორ უნდა მოზომო? გარდა ამისა, 1:500 000 მასშტაბის რუკაზე არ არის აღნიშნული ყველა სიმაღლე, 1:200 000 მასშტაბის რუკაზე კი ყველა მნიშვნელოვანი სიმაღლეა დატანილი.

მოკლედ, აღშფოთებული ვარ ამ ყველაფრით! ჩემი საქმის ფანატიკოსი ვარ, ის კი ჩემს დარგს შეეხო და ამბობს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, თანაც ამით გამოჩენილ ქართველ კარტოგრაფებს ადგებათ ჩრდილი.

- მელაშვილი ამბობს, რომ პროკურატურამ ვირეშმაკული დავალება მისცა ექსპერტებს, ანუ მათ მთლიანი რუკის გაანალიზება კი არ დაავალეს, არამედ მოსთხოვეს, აედოთ ამ რუკიდან საზღვრის ხაზი, შეედარებინათ ის სხვა რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზისთვის და განსხვავება დაედგინათ. იმასაც ამტკიცებს, არც ერთი მტკაველი არ დაგვითმიაო...

- ვმონაწილეობდი ყველა ექსპერტიზაში, რაც პროკურატურამ ჩაატარა და დასკვნა ჩვენ დავდეთ. ამ მასალაში არის წარმოდგენილი ის, რაც მან სახელმძღვანელოდ გამოიყენა. მელაშვილმა გააკეთა “ვიკაპიროვკა”, ანუ ამონახაზი კალკაზე. ჩვენ უნდა დაგვედგინა, საიდან იყო გაკეთებული ეს ამონახაზი და დავადგინეთ, რომ გაკეთებული იყო 500 000-იანი მასშტაბის რუკიდან! კარგი, 200 000-იანის ნაცვლად აქედან ამოხაზე, მაგრამ მითხარი, საზღვარი რატომ შეცვალე? რატომ გადაანაცვლე? იმ 1:500 000 მასშტაბის რუკაზეც ხომ დავითგარეჯის კომპლექსი მთლიანად ჩვენს საზღვრებშია?! ეს რუკები არსებობს და ამის დანახვა ყველას შეუძლია! სასაცილოა ამ კაცის საქციელი - ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი... როგორც გადმოცემით ვიცი, ეს ტოპოგრაფიული რუკა სექტემბრის ბოლოს აზერბაიჯანის მხარეს გადასცეს. მათ თქვეს, ჩვენ განვიხილავთ ამ რუკას და უახლოეს თვეებში გავმართოთ შეხვედრაო. დარწმუნებული ვარ, ისინი დაამუშავებენ ამ მასალებს. მათ კომისიის ხელმძღვანელად ჰყავთ ასაკოვანი გეოდეზისტი. განიხილავენ ყველაფერს და შედგება შეხვედრაც. ვფიქრობ, აზერბაიჯანული მხარე ამ მოლაპარაკებაზე უნდა წამოვიდეს.

1938 წელს ასევე გამოცემულია კედლის რუკაც და იქაც დავითგარეჯის მთელი კომპლექსი საქართველოს შემადგენლობაშია. არის ასევე ადმინისტრაციული დაყოფის ტოპოგრაფიული პლანშეტები და იქაც ისეა. ეს 1:200 000 მასშტაბის რუკა (დედანი) არის ფასდაუდებელი ისტორიულ-კარტოგრაფიული წყარო, რომელიც ჩამოიტანა ბატონმა დავით ხიდაშელმა. იგი ღირსეული მამულიშვილია და მეამაყება, რომ ვიცნობ მას.

თქვენთან საუბარს დავასრულებ ქართული კარტოგრაფიის პატრიარქის, ალექსანდრე ასლანიკაშვილის ერთგვარი შეგონებით: “კარტოგრაფია ისეთ კეთილ მხცოვან ადამიანს მოგვაგონებს, რომელიც სულ სხვებს ეხმარება, სხვისი კეთილდღეობისათვის ზრუნავს და თავისი ვინაობის გარკვევისთვის არ იღვწის”, ანუ კარტოგრაფია ყოფილა ძალიან თავმდაბალი ადამიანი. ამიტომ გახდა ეს მეცნიერება თავშესაფარი ბევრი არასპეციალისტისთვის და მათ შორის - ივერი მელაშვილისთვის, რომელიც პროფესიით კარტოგრაფი არ არის.

მინდა ჩვენი ინტერვიუ მაინც მშვიდობიან კილოზე დავასრულო და მოვუწოდო ერსაც და ბერსაც: ძვირფასებო, ყველამ ვაკეთოთ ჩვენი პროფესიული საქმე და ერთად დავდგეთ სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე. კარტოგრაფია კი სწორედ ის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული დარგია, რომელიც ყოველთვის თავის სიტყვას იტყვის ყველა მამულიშვილურ გამოწვევაში.

თეა ხურცილავა

გაზეთი ***„კვირის პალიტრა“***

როგორ შეცვალა ვაქცინებმა მსოფლიო

ვაქცინაციის ისტორია მე -18 საუკუნიდან დღემდე

Covid-19-ის პანდემიამ შეახსენა კაცობრიობას, თუ რამდენად საშიში და დამანგრეველია ინფექციური დაავადებების აფეთქება. ასევე შეახსენა, ასეთ შემთხვევებში, როგორც ხდება ვაქცინა ერთადერთი იმედი ნორმალურ ცხოვრებასთან დასაბრუნებლად.

კორონავირუსი არ არის პირველი მტერი, რომლის წინააღმდეგ საუკეთესო იარაღი მასობრივი ვაქცინაცია უნდა გახდეს. მსოფლიოში ასობით მილიონობით ადამიანს გაუმართლა და გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ შეიქმნა უხილავი მკვლელის საწინააღმდეგო ვაქცინა.

აი, საუკუნის განმავლობაში როგორ შეცვალა ვაქცინამ ადამიანთა ცხოვრება.

ყვავილი

ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ამ სფეროში ყველაზე წარმატებულია. უკიდურესად გადამდებმა დაავადებამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში 300 მლნ ადამიანი იმსხვერპლა. უფრო ადრეულ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობა უცნობია, რადგან ამ მონაცემების შეგროვება შეუძლებელია.

ყვავილით დაავადებულების 30 პროცენტი იღუპებოდა. მათი უმეტესობა ტანჯვით, რადგან ინფიცირებულთა სხეულები მთლიანად დაფარული იყო ჩირქოვანი აბსცესით. ცოცხლად გადარჩენილები ბრმავდებოდნენ, ან მათ კანზე სამუდამოდ რჩებოდა დაავადების კვალი.

ასწლეულის განმავლობაში, ადამიანები სასოწარკვეთილნი ეძებდნენ ყვავილის საწინააღმდეგო საშუალებას. საბოლოოდ კი შექმნეს პირველი ვაქცინა.

იდეა, რომ ხელოვნურად გამოწვეული დაავადების მსუბუქი ფორმა ადამიანს იმუნიტეტს შეძენდა, სავარაუდოდ, ჩინეთში გაჩნდა. წყაროების თანახმად, დაახლოებით 1000 წელს ყვავილით დაავადებულებს ცხვირში აყრიდნენ წვრილად დაფქული ქერქის ფხვნილს და ყურებში უთავსებდნენ ყვავილის ჩირქში დასველებულ ბამბას.

აფრიკაში ნემსის მეშვეობით კანში შეყავდათ ჩირქით გაჟღენთილი ძაფი.

ბრიტანეთში, მე-18 საუკუნეში ასეთ ვაქცინაციას ფართო პროპაგანდას უწევდა ცნობილი არისტოკრატი და ინტელექტუალი ლედი მერი მონტეგიუ, რომელმაც ახალგაზრდობაში თავად გადაიტანა ყვავილი. ის შესაბამის პრაქტიკას ეზიარა თურქეთში, სადაც მისი ქმარი ელჩად მსახურობდა.

ეს მეთოდი საიმედოობით არ გამოირჩეოდა. დაახლოებით, ყოველი 30-ე პაციენტი ყვავილის მძიმე ფორმით ავადდებოდა და იღუპებოდა.

ამასთან, ინგლისელმა ფერმერებმა შეამჩნიეს, რომ პირუტყვის ყვავილი ადამიანისთვის გადამდები იყო, მაგრამ არა სასიკვდილო. ამ მოვლენის შესწავლისას ექიმმა ედვარდ ჯენერმა პირუტყვის ყვავილის საფუძველზე შექმნა საიმედო და უსაფრთხო ვაქცინა.

1796 წლის 14 მაისს, ჯენერმა ვაქცინა გაუკეთა რვა წლის ბიჭს, რომელმაც სიბერემდე იცოცხლა. ორი წლის შემდეგ კი გამოუშვა ბროშურა, საკუთარი ხარჯით, რადგან მეცნიერთა საზოგადოება ჯენერის მეთოდს უნდობლობით უყურებდა.

ყოველგვარი ეჭვი მაშინ გაიფანტა, როდესაც ბრიტანეთის არმიისა და ფლოტის სამხედრო მოსამსახურეებს აცრა გაუკეთდათ და არცერთ მათგანს ჯანმრთელობის პრობლემა არ შეექმნა.

ღარიბ ქვეყნებში ყვავილი კიდევ 150 წელი მძვინვარებდა. ის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1967 წელს დაწყებული მასობრივი ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების შემდეგ დასრულდა და სრულად აღმოიფხვრა.

პოლიომიელიტი

ამ დაავადებამ არანაკლები რაოდენობის ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე. პოლიომიელიტით ძირითადად ბავშვები ავადდებიან.

ვირუსი ორგანიზმში პირიდან ხვდება, შემდეგ გადადის სისხლში და აინფიცირებს ნერვულ სისტემას. ხშირად იწვევს უკურნებელ პარალიზებას. უმეტესად აზიანებს ფეხებს, მაგრამ ყოველი მეათე პაციენტი კვდება ფილტვების დამბლით გამოწვეული დახრჩობის შედეგად.

ასეთი პაციენტების ერთადერთი იმედი იყო ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია. სპეციალური კამერები, რომელიც 1920-იან წლებში შეიქმნა. ლითონის სათავსოში ადამიანები კვირებს, ზოგჯერ კი მთელ თავის დარჩენილ სიცოცხლეს ატარებდნენ.

რადგან პოლიომიელიტს, ყვავილისგან განსხვავებით გარეგანი ნიშნები არ გააჩნია, მისი ინფექციური ბუნება მხოლოდ 1905 წელს შვედმა ექიმმა ივარ ვიკმანმა დაადგინა.

იმ პერიოდში დიდ ქალაქებში სასმელი წყლის გაუმჯობესებულმა ხარისხმა, შეამცირა როგორც პოლიომიელიტის შემთხვევების რაოდენობა, ისე ადამიანთა რაოდენობაც რომელთაც ამ დაავადების მიმართ იმუნიტეტი ჰქონდათ.

არსებობდა მოსაზრება, რომ პოლიომიელიტი მხოლოდ განვითარებული ქვეყნების პრობლემა იყო, რაც მცდარი აღმოჩნდა. 1952 წელს ამერიკელმა ექიმმა ჯონას სალკმა შექმნა პოლიომიელიტის ვაქცინა. 1961 წელს მისმა კოლეგამ ალბერტ სეიბინმა მოიფიქრა გაუმჯობესებული ვერსია, პაციენტი არ უნდა აცრილიყო, მას წამალი უნდა გადაეყლაპა. დაავადების შემთხვევებმა აშშ-სა და ევროპაში სწრაფად დაიწყო კლება.

პოლიომიელიტის ვაქცინას ერთ-ერთი საშინელი შეცდომა უკავშირდება მთელი ვაქცინაციის ისტორიაში. 1955 წელს ამერიკულმა ფირმამ ჩუტტერ აბორატორიეს-მა შეცდომით გამოუშვა პრეპარატის ასი ათასზე მეტი დოზა, რომელიც პოლიომიელიტის ცოცხალ ვირუსს შეიცავდა. გარდაიცვალა 10 ბავშვი, 160 კი მთელი ცხოვრება პარალიზებული დარჩა.

1988 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ დაიწყო მთელ მსოფლიოში პოლიომიელიტის აღმოფხვრის პროგრამა. 1994 წელს დაავადებისგან თავისუფალ ქვეყნებად გამოცხადდა აშშ, 2000 წელს ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, 2002 წელს ევროპა, 2014 წელს სამხრეთ-აღმოსავლთ აზია. ექსპერტების შეფასებებით, პოლიომიელიტის ვაქცინის მეშვეობით მსოფლიოში გადარჩა მილიონნახევარი ადამიანი, 18 მილიონმა კი სიარული შეძლო.

ამჟამად პოლიომიელიტი თავს გვახსენებს მხოლოდ ავღანეთში, პაკისტანსა და ნიგერიაში. ამ ქვეყნებში წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ათეული შემთხვევა ფიქსირდება.

წითელა

წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია წარმოადგენს ერთდროულად წარმატებისა და წარუმატებლობის მაგალითს.

აფრიკაში ებოლას აფეთქებამ 20 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, წითელამ კი გასულ წელს 207 500 ადამიანი შეიწირა, იმის მიუხედავად, რომ მისი საწინააღმდეგო ვაქცინა 1963 წლიდან არსებობს.

უკიდურესად გადამდები ვირუსი ხველისა და ცემინების დროს, ან დაავადებულთან პირდაპირი კონტაქტის დროს წვეთებით ვრცელდება, იწვევს მაღალ ტემპერატურას და გამონაყარს, მძიმე შემთხვევებში დიარეას, პნევმონიას და თავის ტვინის გარსის ანთებას.

წითელას საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნამდე წელიწადში საშუალოდ 2,6 მლნ ადამიანი იღუპებოდა. მაგრამ მისი სრულად დამარცხება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან მაღალი გადამდებობის გამო კოლექტიური იმუნიტეტი მაშინ დგება, როდესაც ადამიანთა 95 პროცენტია აცრილი.

აშშ-სა და ევროპაში წითელათი დაავადების შემთხვევებმა ბოლო წლებში ისევ იმატა. ეს გამოიწვია აცრის მოწინააღმდეგეთა ფართო პროპაგანდამ სოციალურ ქსელებში. განსაკუთრებით ამას ბიძგი მისცა 1998 წელს ბრიტანელი ექიმის ენდრიუ უეიკფილდის სტატიამ იმის შესახებ, რომ თითქოს წითელას, ღორის გრიპისა და წითურას აცრები ბავშვებში იწვევდა აუტიზმს. იმის მიუხედავად, რომ ეს მოსაზრება უარყოფილი იყო და თავად უეიკფილდს ექიმის ლიცენზიაც ჩამოერთვა, მის მიერ დათესილმა თესლმა ნაყოფი გამოიღო.

თუ კი განვითარებულ ქვეყნებში წითელათი დაავადებულები იშვიათად იღუპებიან, აფრიკაში ვითარება გაცილებით რთულადაა. კონგოში წითელას აფეთქებამ გასულ წელს 7 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათი უმეტესობა ბავშვი იყო.

განვითარებად ქვეყნებში მთავარ პრობლემად რჩება ვაქცინის ნაკლებობა და სამედიცინო ინფრასტრუქტურის არარსებობა.

მალარია

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანები მალარიით უძველესი პერიოდშიც ავადდებოდნენ. დღეს კი კაცობრიობის ნახევარი მალარიით დაავადების რისკის ქვეშ არის, 400 ათასი კი ყოველ წელს ამ დაავადებით იღუპება.

მალარიით გარდაცვალების შემთხვევები ძირითადად აფრიკაში ფიქსირდება.

დაავადებას იწვევს ერთუჯრედიანი ბაქტერია-პარაზიტი, რომელიც ადამიანის სისხლში მაშინ აღწევს როდესაც მას მალარიის კოღო უკბენს.

მალარიასთან ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ჭაობების დაშრობა, სადაც კოღოები მრავლდებიან, მწერების საწინააღმდეგო ბადეები, ასევე წამლები, რომლებიც ადრეულ სტადიაზე დაავადებას ამარცხებენ.

მალარიის ვაქცინის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, იმის მიუხედავად, რომ მის დასამზადებლად 32 წელი და 700 მლნ დოლარი დაიხარჯა.

ვაქცინის ერთადერთი ნიმუშის გამოცდა მიმდინარეობს განაში, მალავსა და კენიაში, რომელიც 2023 წელს უნდა დასრულდეს. არსებული მონაცემებით, ის იცავს მალარიისგან შემთხვევების 40 პროცენტს და ისიც მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში. ეს ძალიან სუსტი მაჩვენებლებია სხვა ვაქცინებთან შედარებით. ამასთან, საჭიროა ოთხი აცრის გაკეთება.

სპეციალისტები გამოთქვამენ ფრთხილ ოპტიმიზმს, თუმცა ამბობენ, რომ მალარიის ვაქცინა პანაცეა ვერ გახდება.

ეპიდსიტუაცია საქართველოში

ბოლო 7 დღის დადებითობა ეტაპობრივად შემსუბუქდება

ბოლო 7 დღის დადებითობის საშუალო მაჩვენებელი შემცირდა 4%-მდე. შესაბამისად, შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქება დაგეგმილზე ადრე იწყება.

8 თებერვლიდან - თბილისში, რუსთავში და ქუთაისში, ანუ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით:

აღდგა მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა (ავტობუსები, ე.წ სამარშრუტო ტაქსები, თბილისის მეტრო), გარდა შაბათ-კვირისა;

გაიხსნა ღია და დახურული ბაზრობები (გარდა შაბათ-კვირისა).

15 თებერვლიდან - თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში, ანუ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით:

სწავლა საკლასო ოთახებში გაგრძელდება (ამასთან, მშობლებს კვლავაც ექნებათ უფლება, სურვილის შემთხვევაში, აირჩიონ დისტანციური სწავლება);

კვების ობიექტები ღია სივრცეებში სტუმრების მიღებას შეძლებენ (გარდა შაბათ-კვირისა) .

მკაცრდება სანქცია პირბადის ტარების წესის დარღვევაზე და მეორედ დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება.

ორგანიზაციები და ბიზნესსუბიექტები, რომლებიც მიზანმიმართულად დაარღვევენ კანონს და შეზღუდვების პერიოდში განახორციელებენ აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას, ვეღარ ისარგებლებენ პანდემიის გამო დაწესებული შედავათებით, სუბსიდირებითა და სხვადასხვა პროგრამით.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ჯანმრთელობის გაზომვათა ინსტიტუტის პროგნოზით, თუ საქართველოში პირბადის ტარების მაჩვენებელი 95%-ზე ავა, მაისის თვისთვის დღიური შემთხვევების ოდენობა ათეულების ფარგლებში იქნება.

„არ უნდა მოვდუნდეთ იმ რეკომენდაციებთან და რეგულაციებთან მიმართებით, რაც არის. ორი დღის წინ ჯანმრთელობის გაზომვათა ინსტიტუტმა მონაცემები განაახლა და ჩვენ ისევ ვრჩებით პირბადის ტარების მაჩვენებლით 72%-ზე. ეს კარგია, 45%-იდან ავედით 72%-ზე. იქ არის პროგნოზი, თუ ავალთ 95%-ზე, მაშინ მაისისთვის ჩვენ ყოველდღიურ შემთხვევათა რიცხვს შევამცირებთ და გვექნება ათეულების ფარგლებში, 10, 20, 30. ეს არის მარტივი ღონისძიება, რომელიც თითოეულმა ადამიანმა უნდა გაითავისოს. პირბადის სწორად და ყველგან ტარება დღეს გახლავთ ყველაზე ძლიერი პრევენციული საშუალება და ეს არის მნიშვნელოვანი“, - განაცხადა გამყრელიძემ.

„ბოლო ერთი თვის განმავლობაში ყველა ინდიკატორი, რომელიც მიუთითებს ეპიდსიტუაციაზე ქვეყანაში, თანდათან უმჯობესდება. ეს არის, ვთქვათ, ინციდენტობა ანუ 100 ათას მოსახლეზე ახალი შემთხვევები, რომელიც ბოლო 14 დღისა და ბოლო 7 დღის განმავლობაში სერიოზულად არის გაუმჯობესებული. დახლოებით, 10-ჯერაა შემცირებული ინციდენტობა ნოემბერ-დეკემბრის პირველი კვირის მონაცემებთან შედარებით. შემცირებულია დადებითობის მაჩვენებელი, ასევე, დაახლოებით, 7-8-ჯერ, როგორც 7 დღიანი, ისე 14 დღიანი მონაცემები. დღეს გვაქვს 4,52 % დადებითობის მაჩვენებელი ქვეყანაში, 7 დღის დადებითობის მაჩვენებელი გვაქვს 3,63% და 14 დღის - 3,74 და მთლიანად იანვარ-თებერვალში -6,6% და მოგეხსენებათ ეს მაჩვენებელი ჩვენ ნოემბრის ბოლოს დეკემბრის შუა რიცხვებში გვქონდა 25%-დან 33-34 %-ის ფარგლებში. ყველა ეს ინდიკატორი მიუთითებს, რომ ქვეყანა მიდის სტაბილიზაციისკენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არავითარი თვითდამშვიდების საშუალებასა და უფლებას არ გვაძლევს, იმიტომ, რომ 829 შემთხვევა, რომელიც დღეს გვაქვს, არის მნიშვნელოვანი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ და განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა ვიყოთ. ამიტომ, არავითარი მოდუნება არ უნდა იყოს იმ რეგულაციებთან და რეკომენდაციებთან მიმართებით რაც არის“.

1 თებერვალს სკოლებში სწავლა განახლდა

კვლავ ახმიანდა სკოლის ეზო აწკრიალდა სკოლის ზარი საკლასო ოთახის კედლები ბავშვების ღიმილმა გაათბო

„კლასელები, ჩვენი მერხი, გაკვეთილები მოგვენატრა“

ეს პატარა, თვალებციმციმა გოგონები სასწავლო წლის დასაწყისიდან სულ „გადარბენაზე“ არიან – სკოლა, გაკვეთილების შემდეგ ცეკვა, ჭადრაკი, საბავშვო ბიბლიოთეკა, თუმცა სოციალური ქსელებისთვისაც იცლიან. ჩვენი გაზეთის მკითხველი ერთსაც იცნობს და მეორესაც ჭადრაკში მიღწეული წარმატებებისათვის. ისინი დები არიან – მარიამ და ნინი აგულაშვილები.

მარიამ აგულაშვილი

მარიამი აქტიური ბუნების, თავის ასაკთან შედარებით განვითარებული (განსაკუთრებით ფიზიკურად) გოგონაა. ადვილად შედის კონტაქტში ადამიანებთან, როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან.

მარიამმა სკოლამდელი ასაკიდანვე გამოამჟღავნა მრავალმხრივი ნიჭი და ინტერესი. ეს განსაკუთრებით ეხება სიმღერას. იგი ძალიან სწრაფად ითვისებდა რთულ სიმღერებს და გამოდიოდა კონცერტებზე, ჩაწერილი აქვს რამდენიმე სიმღერა...

განსაკუთრებულ წარმატებებს მარიამმა მიაღწია ჭადრაკში. არის 8 წლამდელთა შორის საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონი, ნანა ალექსანდრიას საიუბილეო თასისა და ორი ოქროს მედლის მფლობელი ვაჟთა და გოგონათა შორის, კახეთის ჩემპიონი, მრავალი ტურნირის, მათ შორის საერთაშორისოს პრიზიორი და გამარჯვებული...

თუმცა პანდემიის გამო დღესდღეობით სიმღერასაც და ჭადრაკსაც დროებით, სამწუხაროდ, ჩამოცილებულია.

იცით, როგორ ენატრებოდა სკოლა, თავისი კლასელები, მერხი, გიული, ნია, ქეთი მასწავლებლები. მართალია, ე.წ. ონლაინ გაკვეთილები უტარდებოდა, მაგრამ, აი, სკოლის, ცარცის სუნიც კი მოენატრა. კლასელები? ძალიან, ძალიან. მათთან ერთად ხომ ეცნობოდა ქართულ ენას, ლიტერატურას, დადიოდა მატემატიკის ლაბირინთებში, ეუფლებოდა ინგლისურ ენას, ხელოვნების სილამაზეს სწვდებოდა, აზრს უზიარებდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ კამათობდნენ, მაგრამ ბოლოს ისევ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს რომ ქართული ენა ყველაზე ლამაზი ენაა, რომ ინგლისურიც უნდა იცოდნენ.

– ღამე მესიზმრებოდნენ ჩემი კლასელები, ჩემი სკოლა, გაკვეთილებიო, – შემომჩივლა მარიამმა. ახლა ძალიან უხარია, გაკვეთილები ცოცხლად უტარდება, გიული მასწავლებელი ცამეტივე მოსწავლეს უმოწმებს დავალებას, ნია მასწავლებელი 13-ვეს ასწავლის უცხო ენაზე სიტყვებს... ახლა გამრავლებას სწავლობენ რიცხვების ქვეშ მიწერით. მარიამისთვის ეს უადვილესია, ისედაც იცოდა, მაგრამ ზოგიერთმა ხომ შეიძლება ვერ გაიგო ონლაინ გაკვეთილი, აი, ახლა კარგად ისწავლის.

– ძალიან მიხარია, ცეკვაზე ისევ დავიწყე სიარული, ყოველდღე ვხედავ ჩემი ლამაზი სკოლის შენობას, საკლასო ოთახს, მეგობრები ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს აზრებს...

როდის გაივლის ეს პანდემია?! – აი, კითხვა, რომელიც ყველა ჩემს თანატოლს აწუხებს.

ნინი აგულაშვილი

ნინი სუსტი აგებულების, ნაზი ბავშვია. ბუნებით წყნარია და მორიდებული, ამიტომ კონტაქტში შესასვლელად, მისაჩვევად, გარკვეული დრო სჭირდება. სჩვევია გაუბედაობა, შეიძლება რადაც საკითხი კარგად იცოდეს, მაგრამ გამოსამჟღავნებლად სითამამე არ ეყოს. ასეთ დროს წახალისება და მოფერება მასზე დადებითად მოქმედებს.

ნინი საკმაოდ ჭკვიანი და გონიერი ბავშვია. ზოგჯერ ისეთ აზრს გამოთვამს და ისეთ ცოდნას გამოამჟღავნებს, მის ასაკთან შედარებით წარმოუდგენელიც რომაა, ამიტომ მას მოფერებით „ბრძენქალას“ ეძახიან სახლში.

ნინიმ პატარაობიდანვე გამოამჟღავნა სხვადასხვა სახის უნარები, მღერის კარგად, მეცადინეობდა მომღერალ ირინა ბაირამაშვილის სტუდიაში, გამოდიოდა კონცერტებზე, საახალწლოდ ქალაქის ცენტრში გამართულ კონცერტზეც თავის დასთან მარიამთან ერთად შეასრულა დუეტი. მეცადინეობს ჭადრაკში, არის კახეთის ჩემპიონი 8 წლამდელ გოგონათა შორის. მწვრთნელის აზრით შეუძლია სერიოზული წარმატების მიღწევა. უყვარს წიგნების კითხვა, ხატვა, დამოუკიდებლად კითხულობს ზღაპრებს, ლექსებს მოთხრობებს, უკვე გადავიდა დიდტანიან ნაწარმოებებზე, წაკითხული აქვს ჰარი პოტერის ყველა ტომი..

ნინის სიდინჯე და აუჩქარებლობა ახასიათებს, ჩვეულებრივ დამჯერე და მოწესრიგებულია, თუმცა იშვიათად ცელქობაც „ეხერხება“.

წიგნები კი წაიკითხეს ერთად, ჭადრაკიც ხან ერთმანეთს ეთამაშნენ, ხან პაპას, მაგრამ ნინისთვის მაინც მონატრება იყო სწავლის სკოლის კლასებში გაგრძელება. ზემოთაც ვთქვით, მორიდებული გოგოაო, მაგრამ ძალიან მგრძნობიარეცაა, ძალიან, ძალიან ენატრებოდა სკოლა, ამხანაგები. მით უმეტეს კლასში 27 მოსწავლეა. მოენატრა ნინო მასწავლებლის მიერ ჩატარებული ქართული ენის გაკვეთილები, მათემატიკა ხომ ძალიან უყვარს, ხოდა, ყურადღებით უსმენდა ჯული მასწავლებელს ონლაინ გაკვეთილებზე, ნია მასწავლებლის გაკვეთლებზე ინტერესით სწავლობდა ინგლისურ ენას, მაგრამ, როგორც ნინიმ მითხრა – სულ სხვაა, როცა მასწავლებელი კლასში გიყურებს, გეკითხება, პასუხობ, სულ სხვაა, როცა კლასელებთან ერთად გიხარია ზარის დარეკვა.

ხოდა, ორივეს ძალიან უხარია სწავლის განახლება, ორივემ I ხარისხის დიპლომები მიიღეს, კინგსის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ნინიმ მათემატიკაში, მარიამმა ქართულში.

მედალოსნები

2020 წლის სკოლადამთავრებულთა „ოქრო-ვერცხლი“

2020 წლის ზაფხულში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ასეულობით მოსწავლემ საბოლოოდ გამოიხურა მშობლიური სასწავლო დაწესებულების კარები და დამოუკიდებელი ცხოვრების გზასავალზე შედგა ფეხი. მათგან ოცდათხუთმეტმა სკოლაში გატარებული სწავლა-აღზრდის წლები უმაღლესი ჯილდოთი – ოქროსა და ვერცხლის მედლებით აღნიშნეს. მისასალმებელია და უდავოდ აღნიშვნას იმსახურებს, რომ ასეთი ჯილდოებიდან 95% (31) ოქროს მედალია, დანარჩენი კი (4) – ვერცხლის. კერძოდ, თავიანთი თორმეტწლიანი სწავლა უმაღლესი ჯილდოებით აღნიშნეს და ოქროს მედლის „კავალერები“ გახდნენ: ნინო ბუზარიაშვილი, ნინო გაბროშვილი, მარიამ ერბოწონაშვილი, სალომე ესაიაშვილი, ნინო რევაზიშვილი, მედეა სიფროშვილი (ყველა საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა);

ნათია მჭედლიშვილი, ასმათი ნინოშვილი, მარიამ თუშიშვილი (ნ. ჭანტურიას სახელობის საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა);

გიორგი სულიკაშვილი, სალომე ურდულაშვილი, შალვა შაქარაშვილი (საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა);

გვანცა აბესაძე, ლიზი ბოდოკია, გვანცა მალასიძე, თამარ ყორღანაშვილი (საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა);

ხატია ხუმარაშვილი (გომბორის საჯარო სკოლა);

ლიკა მათიაშვილი (თოხლიაურის საჯარო სკოლა);

გიორგი ჯავახიშვილი (კაკაბეთის საჯარო სკოლა);

თამარ ზირაქაშვილი, ნინო ოზგელდოვი, ელადა ჭამიაშვილი (მზისგულის საჯარო სკოლა);

ნანა სამხთუაშვილი (ნინოწმინდის საჯარო სკოლა);

ნოდარ ბროლაშვილი, ნიკოლოზ გვარიძიშვილი, გიორგი ზუკაკიშვილი, ოთარ მაისურაძე, ეთერ ცხვარიაშვილი (გ. ლეონიძის სახელობის პატარძეულის საჯარო სკოლა);

მარიამ გაგნიაშვილი, ნინო გაგნიაშვილი (წყაროსთავის საჯარო სკოლა);

ნინო ოთარაშვილი (პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი)

ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ: ანი ხოკერაშვილი, ნიკა მეკოკიშვილი (საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა); ეკა მეფარიძე (ნინოწმინდის საჯარო სკოლა); ნინო კოტორაშვილი (გ. ლეონიძის სახელობის პატარძეულის საჯარო სკოლა); საგარფეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ მათ გადასცა ფულადი ჯილდო – ოქროს მედალოსნებს – 300 ლარი, ხოლო ოვერცხლის მედალოსნებს – 200 ლარი..

ფიქრები, ოცნებები, რეალობა

გზა სტუდენტობამდე

რა დრო გვჭრდება საკუთარი თავის აღმოსაჩენად ? ან იმის გასარკვევად თუ ვინ ვართ, სად ვართ და რა გვინდა?! ჩემს შემთხვევაში არც თუ ისე მარტივი იყო ამ კითხვებზე პასუხის მოძებნა, რადგანაც საკუთარი თავის ძიების პროცესში იყო ბევრი გზა, ლაბირინთი, სადაც უამრავჯერ ავიხლართე და დავეცი, ვნახე წარმატება წარუმატებლობასთან ერთად, სიხარული ტკივილთან შერწყმით, რომლებიც მონაცვლეობდნენ ერთმანეთში და ჩემს ხასიათს ხდიდნენ უფრო ამტანსა და მებრძოლს.

მთელი თორმეტი წელი გავატარე ოთხ კედელს შუა... სხვადასხვა დროს ჩემმა მრავალფეროვანმა, თავგადასავლების მოყვარულმა ბუნებამ მაიძულა სკოლების შეცვლა.

-რატომ გარბიხარ ? - ერთხელ ჩემმა მასწავლებელმა მკითხა, ვიდრემდის სკოლის საბუთებს გადავიტანდი...

იმ წამს ვერაფერი ვუთხარი მასწავლებელს, მხოლოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივედი ჭეშმარიტებამდე და ავხსენი ჩემი გაქცევის საფუძველი: მე გავექეცი არა სკოლას, არამედ ჩემს თავს, მიზნად იმისა , რომ ჩემი თავი შემექმნა...

ნუთუ აქამდე ვერ ვქმნიდი ჩემს თავს ?! ნუთუ აუცილებელია გაიქცე რომ რაღაცას მიხვდე ?!

არის თემები, რაზეც ვერასოდეს ისაუბრებ ამომწურავად, ან ისაუბრებ და ვერ გაგიგებენ...

გქონიათ მომენტი თავი იარლიყმიკრულად გიგრძვნიათ, რომელსაც წააწერეს „დირექტორის შვილი“, სტატუსი, რომელიც მთელი 12 წელი ვზიდიდე და ვატარე...

რა თქმა უნდა, ამას ყველა ვერ გამოცდით, ვერც იმას მიმიხვდებით, რა რთულია, როცა შენი სახელის უკან კიდევ ერთი სახელი იმალება...

ხშირად ჩემი წარმატება სწორედ ამ მეორე სახელს, ჩემს სტატუს უკავშირდებოდა. მე კი არ ვჩანდი, ვიკარგებოდი და მიწევდა მებრძოლა იმისათვის, რომ დამემტკიცებინა ჩემი თავის შესაძლებლობები, რომ სტატუსები ყოველთვის არ ნიშნავს წარმატებას, რომ ამ წარმატებას დიდი ტკივილის შედეგად აღწევდა ვოგო, რომელიც დღეს უკვე მივიდა შედეგამდე, შეიცვალა იარლიყი წარწერით- „თავისუფალი“.

...და მაინც რა არის თავისუფლება?! და რა თავისუფლებას გვასწავლის დღევანდელი რეალობა, როცა ჩვენს ქვეყანაში 50%-ზე მეტი ბავშვი ხდება ჩაგვრისა და ბულინგის მსხვერპლი, როცა მათ აიძულებენ ისწავლონ სხვებზე უკეთ, როცა მათ ეუბნებიან რომ არაფერი გამოუვათ, რომ სხვები მეტად ჯობნიან რაიმეში... ამ ყველაფრის მიუხედავად მაინც ფიქრობთ , რომ ბავშვი შეძლებს იყოს საკუთარი თავის „უფალი“ ?! ასეთი ახალგაზრდა თაობა უფრო მეტ დროს უთმობს საზოგადოებისა თუ ოჯახის წევრების აზრს და კარგავს სწორედ იმ თავისუფლებას, რაც საბედნიეროდ მე გამაჩნდა მთელი ჩემი ბავშობის განმავლობაში ...

დღევანდელო მოსწავლეებო ნუ მოუსმენთ ნურავის, ნუ გეგონებათ რომ ათოსნობა ყველაზე მაღალ მწვერვალებს მოგიტანთ... ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი და ვიცი რა რთულია იღებდე „ხიზღს“ იმის გამო , რომ კლასში ყველაზე „ტვინიკოსი“ ხარ.

არ იღელვო იმაზე, რომ საკონტროლოში 1 ქულა დაგაკლეს , ან მათმატიკაში განტოლება ვერ ამოხსენი, არ მიაქციო მასწავლებლის აზრს ყურადღება და თუ ჩაგძახეს: -ამას ვერ შეძლებ! გაიხადე ეს სიტყვები შესაძლებლობად და იცოდე, რომ ნიუტონის მესამე კანონის თანახმად – უკუსვლას წინსვლა აუცილებლად მოყვება...

დაუკავშირე ყველა კანონი, ყველა ფორმულა, ყველა ამოცანა შენს ცხოვრებასა და გაიმარტივე სწავლების პროცესი... ეს შენ შეგიძლია! გეუბნები , გასწავლი და გარიგებ, როგორც საკუთარ თავს ვარიგებდი ერთ დროს...

არაფერი ვიცი, იმაზე მეტი, რაც შესაძლოა, შენივე საკუთარ თავს ასწავლო და მისცე ...

იცი, დღემდე ვბრძოლობ იმისათვის, რომ შენამდე მოვაღწიო, გავხდე წარმატებული სკოლის ფსიქოლოგი და გითხრა ეს სიტყვები, რომ შენ შეგიძლია სკოლის კედლებზე ბუდეები აიშენო, მაგრამ იცოდე, აუცილებლად დაგინგრევენ... იფრინე ახალგაზრდავ, იფრინე!

ნინო (ნინი) ბუზარიაშვილი,
ოქროს მედლის მფლობელი, სეუ-ს I კურსის სტუდენტი, მომავალი ფსიქოლოგი

ტყე _ ჩვენი სიმდიდრე

როცა თვითშეგნება კვლავ დაბალი რჩება

სულ რაღაც სამი ათეული წლის წინ საგარეჯოს რაიონის სატყეო მეურნეობაში შემავალი ტყის მასივი ნამდვილ, სრულყოფილ ტყეს წარმოადგენდა, რომლის მოვლა-პატრონობასა და გაშენებაში თითოეულ მოქალაქეს თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული. ათეულ ზონად დაყოფილი ტყე, სადაც თითოეული ხე იყო აღნუსხული და შესწავლილი, მოსახლეობის კეთილგონიერი მოპყრობით, თავისი ფლორით თუ ფაუნით, ჯანსაღ, საინტერესო ატმოსფეროს ქმნიდა ისევ აქაური მოსახლეობისათვის. მართლაც სრული დატვირთვით და შეგნებით მოქმედებდა მოწოდება „ტყე შეუნახე შვილებსა“. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი დღემდე ტყეს ისე ვექცევით, როგორც საუკუნეების წინ მომხდური, მტარვალი უცხოტომელი, რომელიც ვაზს გვიჩეხავდა, ამით ქართველობის დასავიწყებლად ტყეებს გვიწვავდა, რითაც წყალსა და ჰაერს გვიშვიათებდა და ქართული ჯიშისა და გენის ამოფხვრას ცდილობდა. ათეული წლებით ნალოლიავები, ადამიანის ხელით მოვლილი ტყეები გაიჩეხა, მართალია მკაცრი, გაუსაძლის ზამთარში ბუნებრივი აირის მოწოდების შეწყვეტის გამოც, მაგრამ ბევრმაც შემოსავლის წყაროდ გაიხადა და დღესაც აგრძელებს. ამას ნახშირსაწვავების „მოდაში“ შემოსვლაც დაერთო თან და თვალსა და ხელს შუა გვიჭრება მამა-პაპათაგან რუდუნებით შემონახული ტყე.

– უკანონო ჭრების აღსაკვეთად, რომლებიც თვითნებურად ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტყეებში, საქართველოს გარემოს დაცვის რეგიონულ სამსახურთან ერთად, საგარეჯოს სატყეო უბანი სისტემატურად ატარებს რეიდებს – გვერთვება საუბარში საგარეჯოს სატყეო უბნის უფროსი <u>დავით კაკუტაშვილი</u>, მათ გარეშე რეიდის ჩატარების იურიდიული უფლება ჩვენ არ გვაქვს.

– ძნელი იქნება კონტროლი, მაგრამ საინტერესოა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის რა ფართობი უკავია დღეის მდგომარეობით ტყეს?

– ეს ფართობი იწყება თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებიდან და ვრცელდება ჩვენი მთის სოფლების და ხაშმის ტერიტორიიდან სოფელ შიბლიანის ჩათვლით. სულ 37000 ჰექტარია.

– არ არის პატარა ფართობი. და ამ ფართობს რამდენი ტყის მცველი უწევს კონტროლს?

– ადრე თუ 13 იყო, ახლა 3 სპეციალისტი და ორი ტყის მცველია. მთის ზონებში – იაგო ღრუბელაშვილი, რომელიც 17000 ჰა-ს ზედამხედველობს და დანარჩენს – ხაშმიდან შიბლიანის ჩათვლით ალექსანდრე ჯავახიშვილი.

– ყოველ წელს ზამთრის სეზონისათვის გამოყოფილი იყო ტყეკაფი, განსაზღვრული ფართობით...

– ახლაც ასეა. 2020-2021 წლების ზამთრის სეზონისათვის 12000 მ3 შეშა გამოიყო, აქედან დღეის მდგომარეობით (1 თებერვალი) ათვისებულია 8-9 ათასი მ3. ისე, წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობა 7 ათას კუბზე მეტს არც მოიხმარს, მაგრამ მკაცრი ზამთრის მოლოდინისათვის, თავის დასაზღვევად, მეტი მოცულობის შეშა გამოიყოფა. თუ მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა მისი ათვისება, ის შემდეგ, მომავალ წელში გადადის ასათვისებლად.

– როგორც ცნობილია, ბარისა და მთის მოსახლეობისთვის სხვადასხვა მოცულობებია გამოყოფილი და ამასთან, რა ღირს 1 მ3 შეშა?

– ბარისა და მთის მოსახლეობაზე მართლაც სხვადასხვა მოცულობის შეშა ნაწილდება. იმის გამო, რომ მთაში კლიმატური პირობების გამო ზამთარი უფრო მძიმეა – ხანგრძლივია და მათ არც ბუნებრივი აირი აქვთ (გარდა სოფელ უჯარმისა) ჯერჯერობით, ამიტომ მთის მოსახლეობაზე, თითო ოჯახზე 15 მ3-ია გამოყოფილი, ხოლო ბარისაზე – 7 მ3. 1მ3 შეშის ღირებულება 6 ლარს შეადგენს. რაც შეეხება ტრანსპორტირებას, ეს უკვე თავად ოჯახმა უნდა შეძლოს, ამიტომაც ძვირი უჯდება ოჯახს შეშის მომარაგება.

– უკანონო ჭრები, უკანონო ნახშირსაწვავები დღეს მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მტკივნეული საკითხი არ არის. საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობას და სამომავლოდ ჩვენი შთამომავლობისათვის ეროვნული სიმდიდრის – ტყის შენარჩუნებას.

– გეთანხმებით. ჩვენი სატყეო უბნის ყველა სოფელში გამოყოფილია ტყე-კაფები, სოციალური ჭრები, სადაც ხე ექვემდებარება მოჭრას, შეშად მოსახლეობისათვის მიყიდვას. ზემოთაც ვთქვი, ჩვენ ხელთ არ გვაქვს სადამსჯელო ბერკეტები, მხოლოდ გარემოს დაცვის თანამშრომლებთან ერთად შეგვიძლია რეიდების მოწყობა უკანონო ჭრების გამოსავლენად და ნახშირსაწვავების აღსაკვეთად, რომელიც ასევე, პოლიციამ უნდა აღკვეთოს.

ერთადერთი რამის თქმა შეგვიძლია – ჩვენი თვითშეგნება ტყის დანიშნულების, გაფრთხილების მიმართ ჯერჯერობით, საკმაოდ დაბალია.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 15 თებერვლიდან სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელებასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ სკოლებისთვის რეკომენდაციები განაახლა

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში, 15 თებერვლიდან სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სკოლებისთვის რეკომენდაციები განაახლა.

აღნიშნული რეკომენდაციები, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ შესაბამის რეგულაციებთან ერთად, სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას მიაწოდა.

„თავის მხრივ, სკოლები მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებას. ამ გზით ყველა მხარეს ექნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს სკოლა Covid-19-ის პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, ასევე სკოლაში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით. სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით, სკოლებს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება დაევალა. ეს საშუალებას მისცემს მშობლებს, ყველა ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებით (სკოლის Facebook-ის გვერდი, ელფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინება, TEAMS-ის პროგრამა, ბანერები, საინფორმაციო შეხვედრები), სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სკოლის სპეციალური აღჭურვილობებით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო საშუალებებით, პირბადეებითა და უკონტაქტო თერმომეტრებით უზრუნველყოფა, სკოლის მოვლა-პატრონობისა და დალაგება-დასუფთავების მიზნით გატარებული ღონისძიებები , სკოლაში სველი წერტილების მდგომარეობა, საკლასო ჯგუფების ცვლებში განაწილება, მიმდინარე საგაკვეთილო ცხრილი და სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი, სკოლის ეზოსა და შენობაში მოსწავლეთა ნაკადების შესვლის, გასვლისა და გადაადგილების ორგანიზება, თერმოსკრინინგის უზრუნველყოფა, სკოლის პერიმეტრზე პირბადის ტარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, დისტანციური სწავლების მოთხოვნა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის, სკოლის პერსონალის სავალდებულო ტესტირება, მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოყოფილი დრო და ფორმატი.

სამინისტრო მოუწოდებს მშობლებს, ყურადღებით გაეცნონ სკოლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ზედმიწევნით დაიცვან შესაბამისი რეკომენდაციები: სკოლაში წასვლამდე აკონტროლონ მოსწავლის ტემპერატურა, ცხელების ან სხვა სიმპტომების გამოვლენისთანავე დროულად მიაწოდონ სკოლას ინფორმაცია, უზრუნველყონ მოსწავლის დროული გამოცხადება სკოლაში, ცხელების დაფიქსირების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ მოსწავლის სკოლიდან წაყვანა, დაესწრონ სკოლის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო ონლაინ შეხვედრებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მშობლებს კვლავ ეძლევა შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი დასწრებით სწავლებასა და დისტანციური სწავლების ფორმას შორის. აღნიშნული მიდგომა მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, თელავის, ზესტაფონის, გარდაბნის, ფოთის, მარნეულის, ბათუმის, ქობულეთისა და გორის საჯარო სკოლებს შეეხება. ამასთან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამინისტრო შესაძლებლობას აძლევს რისკჯგუფში მყოფ მასწავლებლებს, შესაბამისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციაში განაცხადონ მუშაობის დისტანციურ ფორმატში გაგრძელების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, სკოლას აქვს შესაძლებლობა, კონკრეტული საგანი გადაიტანოს დისტანციურ ფორმატში, ან პედაგოგი სხვა მასწავლებლით ჩაანაცვლოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესი მასწავლებლის უფლებების გათვალისწინებითა და მასთან შეთანხმებით წარიმართოს.

საქართველოს მასშტაბით სკოლებში უკვე მიმდინარეობს მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის მინიმუმ 20%-ის სავალდებულო სისტემატური ტესტირება, 2 კვირაში ერთხელ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული პროტოკოლის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ძალაში რჩება 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას შეუძლია თავად განსაზღვროს: გაკვეთილის ხანგრძლივობა, საგაკვეთილო პროცესის დაწყების დრო საფეხურების/კლასების მიხედვით, მოქნილად დაგეგმოს ცვლები, მოსწავლეების უსაფრთხოებისა და სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაგეგმოს შერეული სწავლების საკუთარი მოდელი, შერეული მოდელის დაგეგმვისას I-IV კლასის მოსწავლეებისთვის სავალდებულოდ განსაზღვროს ფიზიკურად სასკოლო სივრცეში გაკვეთილების ჩატარება“.

ჩვენებური ჩვენები

საგარეჯოელი მამულიშვილები

საგარეჯოელი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

ივანე ჯაბადარი

ჯაბადრების გვარი საგარეჯოს ძირძველ გვარეულობათა ნუსხას მიეკუთვნება და მათი აქ არსებობა ოფიციალურად XVII საუკუნიდან დასტურდება. ამ გვარის ძირი სპარსულ-თურქული წარმოშობისაა – „ჯაბადარ“ ამ ენებზე ჯავშან-საჭრელის მნეს, ანუ საჭურველის, იარაღის (ჯაბახანე) საწყობის გამგეს ნიშნავს. რაც შეეხება მათ წარმოშობას, ჯაბადრები ძველი კოლხეთის დიდგვაროვანი ოჯახიდან ყოფილან, რომლებიც ბედის ტრიალს ირანის შაჰის კარზე გადაუტყორცნია და მათ წარმომადგენლებს დიდი როლი შეუსრულებიათ ირანის სამხედრო-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, მხატვარი ალი ყული ხანი ჯაბადარი XVII საუკუნის ირანის გამორჩეული მხატვარი ყოფილა.

არავინ იცის, თუ კონკრეტულად როდის მოხდა ამ გვარეულობის ერთ-ერთი შტოს საგარეჯოში დამკვიდრება, მაგრამ შემორჩენილი დოკუმენტებით თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ გვარის მატარებელი ხალხი მხოლოდ საგარეჯოში ცხოვრობდა და დიდი როლიც შეუსრულებიათ არა მარტო მშობლიური კუთხის, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც. ამ გვარის ერთ-ერთი ასეთი ღირსეული წარმომადგენელი იყო **ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი**. იგი დაბადებულა 1852 წელს საგარეჯოში, ხელმოკლე აზნაურის სპირიდონ ჯაბადრის ოჯახში. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლის გასაგრძელებლად შევიდა პეტერბურგის სამხედრო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც აქტიურად ჩაება სტუდენტურ რევოლუციურ საქმიანობაში.

პროფესორებთან უთანხმოების გამო, აკადემიის III კურსზე სწავლისას მან თავი მიანება სასწავლებელს და 1874 წელს პარიზში გაემგზავრა, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა „პარიზის კომუნის“ რევოლუციურ იდეებს.

ივანე ჯაბადრის ინიციატივით საზღვარგარეთ შეიქმნა სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის ბირთვი, რომელშიც მასთან ერთად გაერთიანდნენ იქ მყოფი ქართველი და კავკასიელი ახალგაზრდები: მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი, დ. გურამიშვილი, ა. ელიოზიშვილი, დაღესტნელი მ. დოლგატი და სხვები. ამ ბირთვს მეორენაირად „კავკასიელთა წრესაც“ უწოდებდნენ.

ი. ჯაბადარი საზღვარგარეთ დაუკავშირდა შვეიცარიაში სასწავლებლად ჩასულ რუს ქალიშვილთა რევოლუციურ წრეს, რომელიც „ფრიჩების“ სახელითაა ცნობილი და მათთან ერთად დაიწყეს რევოლუციური თეორიის შესწავლა, გზების ძიება ხალხში რევოლუციური პროპაგანდის გაშლისათვის.

1874 წლის ნოემბერში იგი რუსეთშია და ცარიზმის გამძვინვარებული ტერორის პირობებში ღრმა იატაკქვეშეთში ეწევა რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას. ნოემბერ-დეკემბერში საზღვარგარეთიდან დაბრუნდნენ სხვა ახალგაზრდა რევოლუციონერები და სამოქმედო ცენტრად მოსკოვი დაისახეს. ივანე ჯაბადრის ინიციატივით მათ ჩამოაყალიბეს „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია,“ რომლის მიზანი ცარიზმის თვითმპყრობელობის დამხობა იყო. ამ ჯგუფს მეორენაირად „მოსკოველთა“ წრესაც უწოდებდნენ.

1875 წელს „მოსკოველთა“ ორგანიზაციის ყრილობაზე მიიღეს ახალი პროგრამა და წესდება, სადაც „ნაროდნიკებისაგან“ განსხვავებით სამოქმედო ასპარეზად არჩეულ იქნა ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მუშათა კლასი გლეხობის მოკავშირეებად მიიჩნიეს.

მეფის ჟანდარმერიამ მალე აღმოაჩინა ახალგაზრდა რევოლუციონერთა შტაბი და 1875 წლის მარტ-აპრილში დააპატიმრეს ივანე ჯაბადარი და მისი თანამზრახველები – სულ 50 კაცი. დაპატიმრებული რევოლუციონერების საქმე განიხილა მეფის მთავრობის მიერ დანიშნულმა ხენატის საგანგებო კომისიის სხდომამ, რომელიც 1879 წლის თებერვალში შედგა. ამ პროცესმა „ორმოცდაათიანელების“ სახელწოდება მიიღო, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე საზღვარგარეთ. ი. ჯაბადარს მიესაჯა 5 წლის კატორღა და გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში. იგი არც კატორღაში წყვეტდა რევოლუციურ საქმიანობას და ასევე ხელს უწყობდა კატორღიდან თანამზრახველი ამხანაგების გაქცევას. ბოლოს ივანე ჯაბადარი თვითონაც გამოიქცა ციხიდან, ჩავიდა პეტერბურგში და თავისით წარუდგა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ვ.კ. პლეევს და განუცხადა – არ იფიქროთ, ვითომ ციმბირიდან გამოვიქეცი, მე მოვედი, რათა პასუხი მოგთხოვოთ, რისთვის მამყოფეთ ორი წელი უკანონო კატორღაში! ი. ჯაბადრის ასეთი ვაჟკაცური და გაბედული მოქცევით პლეევ ისე გაოცდა, რომ იგი პეტერბურგში დატოვა „საქმის ხელახლა გამოძიებისათვის“, სადაც ი. ჯაბადარი გაამართლეს და თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს.

ი. ჯაბადარმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიიღო იურიდიული განათლება და დაიწყო ვექილად მუშაობა. იგი, როგორც ნაფიცი ვექილი, ყოველთვის ცდილობდა სამართლიანობის დაცვას და ბედისაგან დაჩაგრულთა გვერდით დგომას. ამავე დროს იგი არ წყვეტს აქტიურ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მუშაობას და ყველანაირად ეხმარება საქართველოში გადმოსახლებულ რევოლუციონერებს.

ივანე ჯაბადარმა დიდი დახმარება აღმოუჩინა თბილისში ჩამოსულ მაქსიმ გორკის, როგორც სამსახურში მოწყობის, ისე მისი პირველი ნაწარმოების „მაკარ-ჩუდრას“ გამოცემის საქმეში.

ივანე ჯაბადარი იმდროინდელ მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კახეთის რკინიგზის მშენებლობის მოსამზადებელ საქმიანობაში, მოღვაწეობდა ქართულ გიმნაზიაში, იყო თბილისის საბჭოს ხმოსანი და სხვა.

ივ. ჯაბადარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერლობაში. იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოდიოდა მისი პუბლიცისტური წერილები ფსევდონიმით „ნარ-დონი“, თანამშრომლობდა ჟურნალ „ჩრდილოეთის მოამბეში“, სადაც მოათავსა „წერილები საქართველოზე“, ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“. ამ ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი მოგონებები ციმბირის კატორღის შესახებ და „ორმოცდაათიანელთა“ პროცესის შესახებ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1885 წელს ივ. ჯაბადარმა, ერთ-ერთმა პირველმა რუსეთის იმპერიაში პეტერბურგში გამოაქვეყნა შრომა, სადაც სასტიკად გაილაშქრა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ივ. ჯაბადარი ახლოს იცნობდა ჩვენი ერის დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს, მისი ძმა ნიკო ჯაბადარი ილია ჭავჭავაძესთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ილია ჭავჭავაძე სტუმრადაცაა ნამყოფი ჯაბადრების სახლში, საგარეჯოში (ჯაბადრების სახლი იდგა იმ მონაკვეთში, სადაც ახლა გივი ოსიყმიშვილის ოჯახი ცხოვრობს). მიუხედავად ამისა ილია ჭავჭავაძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ივანე ჯაბადრის „სევერნი ვესტნიკში“ გამოქვეყნებული „წერილები საქართველოს შესახებ“, რომელშიც ნიჰილისტურად და არასწორადაა შეფასებული საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი.

ივ. ჯაბადარი გარდაიცვალა 1913 წლის 23 აპრილს საგარეჯოდან თბილისში მიმავალ დილიჟანსში და დაკრძალულია თბილისის კუკიის სასაფლაოზე.

მოკლედ, ასეთია ყოფილი საგარეჯოელი ხალხოსან-რევოლუციონერის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუდარებელი მებრძოლის, ჩვენი ერისა და ხალხის ბედ-იღბალზე მოამაგე ადამიანის ცხოვრება, რომელმაც ხალხის ჩაგვრის აღმოფხვრასთან ერთად პირველმა აღიმაღლა ხმა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

გაზეთ „ივრის განთიადში“ ისტორიკოს ალ. ელერდაშვილის ავტორობით გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა

გივი დაბახიშვილმა

***P.S.** ჯაბადრების გვარის სხვა წარმომადგენლების შესახებ წერილები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებშიც.*

როცა მადლობას ყველა იმსახურებს

დასასრული

ოპერატიული გადანაწილება, შეფასება,საჭირო კვლევების და მკურნალობის დროული დაწყება, სამედიცინო პერსონალის მობილიზება, მათი სათანადოდ აღჭურვა და ამუნაცია, ჰიგიენური ნორმატივების ყოველწუთიერი კონტროლი, რომ არ მოხდეს პერსონალის მასიური ინფიცირება, რაც ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ხშირად შეუძლებელია ...აი იმ ღონისძიებათა არასრული ნუსხა, რაც სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს ყველა კოვიდ-კლინიკას პანდემიის დროს. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენმა კლინიკამ ამ გამოწვევას გაუძლო და დღესაც წარმატებით აგრძელებს კოვიდ პაციენტთა მკურნალობას.არ შეიძლება არ აღინიშნოს კლინიკის ხელმძღვანელის ,მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, თ.ს.უ. ის პროფესორის ბ.ონ დავით ჯიქიას „ლომის წვლილი“ სწორი და ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების თვალსაზრისით.რამაც უზრუნველყო სამედიცინო საქმიანობის, კადრებით, აპარატურით, მედიკამენტებით, სამედიცინო ფორმებით და სხვა სამედიცინო საგნებით მომარაგების უწყვეტობა, რომლის დეფიციტმა დღევანდელ რეალობაში ძალიან ბევრი კლინიკა დააყენა დახურვის საფრთხის წინაშე. ბ.ნი დავითი, როგორც გამოცდილი და მაღალი ერუდიციის კლინიცისტი უშუალოდ იყო ჩართული თითოეული მძიმე პაციენტის მკურნალობის პროცესში, პირადად ნახულობდა თითოეულ პაციენტს, ესაუბრებოდა და ამხნევებდა მათ.მისი უშუალო ჩართულობით განიხილებოდა ყველა პაციენტის ლაბორატორიული თუ ინსტრუმენტული კვლევის შედეგები, მკურნალობის გეგმა, რეფერალის საჭიროება და სხვა.

პირველი ტალღის გადატანის შემდეგ, მეორე ტალღა პანდემიის პიკს დაემთხვა.როდესაც კოვიდ განყოფილებაში და რეანიმაციაში საწოლების აბსოლუტური დეფიციტი შეიქმნა.ძნელია გაითავისო და ბოლომდე გააცნობიერო ის მომენტი, როდესაც გირეკავს მძიმე კოვიდინფიცირებული პაციენტი და ქოშინით, წყვეტილი სიტყვებით ძლივს ამბობს სათქმელს: გემუდარებით ექიმო, ნუ მომკლავთ, იქნებ 1 საწოლი გამოინახოს ჩემთვის და ასეთი ათეული შემთხვევა... არ ვიცი, სწორედ ვიქცევი თუ არა, ასე გულწრფელად რომ ვლაპარაკობ კონფიდენციალურ სამედიცინო პრობლემებზე, მაგრამ, სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის წუთებში არც ერთი საგარეჯოელი მძიმე პაციენტი არ დარჩენილა სტაციონარის მიღმა. ამ მომენტში შეუძლებელი შესაძლებელი ხდებოდა: საწოლი საიდანღაც ჩნდებოდა, შევიწროვებული სივრცე რაღაცნაირად ფართოვდებოდა და საწოლის დამატებასაც როგორღაც ვახერხებდით.ასე გადარჩა სიკვდილის პირისპირ მდგომი ბევრი ადამიანის სიცოცხლე .ბედნიერი ვარ, რომ ეს ადამიანები,დღეს უკვე გამოჯანმრთელებულნი,რომელთა შორის უმეტესობა ჩემი ძალიან ახლობელია, დღესაც მირეკავს და მადლიერების სიტყვებს არ იშურებს ჩვენი ექიმების და მედდების მიმართ. ფასდაუდებელია ***რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელის*** ქ.ნი **ნინო ამირიძის** და მისი გუნდის ღვაწლი და პროფესიონალიზმი.ბევრი კრიტიკულად მძიმე და ცუდი პროგნოზის პაციენტი მოიხსნა ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან და დაუბრუნდა ოჯახს ამ ქალბატონის და მისი გუნდის, რომლებიც არიან: ***ექიმები: ნინო ნიკოლაშვილი, თამარ ფანოზიშვილი, რაჯი ისმაილოვი; ექთნები: ნელი ბარამაშვილი, თეა ჩოტკოევი, გულიკო ჯამალაშვილი, ია ნანუაშვილი, ლელა ლოლაძე, ირმა რევაზიშვილი, ქეთი უსტიაშვილი, ეკა ნარეკლიშვილი*** გათენებული ღამეების და თავდაუზოგავი შრომის წყალობით. სამწუხაროდ, იყო მძიმე შემთხვევები, რომლებიც სიკვდილით დამთავრდა და რასაც ვერ ასცდა მსოფლიოში ვერც ერთი კლინიკა.არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სტატისტიკის მიხედვით საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსში“ კოვიდ პაციენტთა ლეტალობის მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გახლავთ.

ყველა ექიმი, ვისაც კოვიდ ინფიცირებულ მძიმე პაციენტთან აქვს შეხება, დამეთანხმება, რომ ეს პაციენტები განსაკუთრებული და განსხვავებული კატეგორიის პაციენტები არიან. განყენებული და უნიკალურია მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მათ დიდ უმრავლესობას ცუდი პროგნოზის და ხშირად სიკვდილის შიში სტანჯავს და ეს ძალიან ბუნებრივია. მძიმე პაციენტების ფილტვები და მთელი ორგანიზმი ჟანგბადის ღრმა დეფიციტს განიცდის. ჟანგბადი სიცოცხლეა.ამიტომ შიშიც რეალურია, მითუმეტეს პაციენტმა იცის რომ მსოფლიო მასშტაბით რა მაღალია სიკვდილობის რიცხვი. ამრიგად, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ექიმებს განსაკუთრებული დამოკიდებულება, ძვირფასი დროის გამოთავისუფლება და ურთიერთობის ნიჭი გვჭირდებოდა ასეთი რთული მკურნალობის პროცესში. ისინი უფრო მეტ ნუგეშს, უფრო მეტ ყურადღებას, უფრო მეტ სითბოს, მდგომარეობის ბევრ ნიუანსში გარკვევას და თანადგომას საჭიროებენ ჩვეულებრივი პაციენტებისგან განსხვავებით..არანაკლებ საყურადღებო გახლავთ პაციენტების ახლობლების და ოჯახის წევრებისთვის ინფორმაციის ადექვატური მიწოდება.საჭირო დროის დეფიციტზე რომ არაფერი ვთქვა,ადამიანურად დიდი ემოციების დახარჯვა მიწევდა ამ საუბრებისას. ხშირად უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე ვერ ვპასუხობდი ზარებს, თუმც მაქსიმალურად ვცდილობდი დღის მეორე ნახევარში „გამომესწორებინა ჩემი უპასუხისმგებლობა.„9 დეკემბერს დამიდასტურდა კოვიდ-ინფექცია. რამაც შემაშფოთა. პირველი ის იყო, რომ როგორ შეიძლებოდა სახლში დავრჩენილიყავი.თუმცა, ვიცოდი, რომ არავითარ შერმთხვევაში ჩემი დაავადება არ მიიღებდა მძიმე ხასიათს. ვინაიდან ერთი იდეა ფიქსი,რომ ჩემზე შეჭირვებულებს ვჭირდებოდი – დომინირებდა ფსიქიკაში .და ასეც მოხდა.ამით იმის თქმა მინდა, რომ პაციენტის დამოკიდებულებას კოვიდ.ინფექციისადმი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების მიმდინარეობასთან და ხშირად გამოსავალთან მიმართებაშიც.ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და საინტერესო იქნება მომავლის სამეცნიერო მტკიცებულებები ამ მიმართულებით.როდესაც ვუყურებ ჩემი კოლეგების, უშუალოდ „კოვიდ განყოფილების ექიმების, მედდების, სანიტრების დაღლილ სახეებს, უძილობისგან ჩაცვენილი თვალის უპეებს, რომელთაგან ზოგიერთი დაინფიცირდა, გული სითბოთი და სიამაყით მევსება. ხანდახან მინდა ბოდიში მოვუხადო მათ, რომ ასე რეალურად ვერ ვაფასებდი თითოეულ მათგანს, მათ სიყვარულს არჩეული მძიმე პროფესიისადმი. ასეთები კი მრავლად არიან: ***ექიმები ნინო ბაირამაშვილი,ნინო გარსიაშვილი, იამზე დარისპანაშვილი, ცინარი აბესაძე, მარიამ ჯოხაძე,ნინო გაგუა, მარი ოდოშაშვილი,ირაკლი მაკანტალაშვილი, დავით ბუთხუზი,მედდები და თანაშემწეები: ხათუნა დათუნაშვილი, მაია ლაფერიშვილი, ნანა კეკლიშვილი,ლია მაჩურიძე, ციცო სოროზნიშვილი, ნუნუ გიუნაშვილი, ლალი ურდულაშვილი, ნაირა გაბრელაშვილი, ლალი კუპატაძე, მანანა როჭიკაშვილი, ნინო ბარამაშვილი, თამილა სოლოღაშვილი, მაია ებრალიძე,სოფო ენუქიძე, ნანა დარბაისელი, მაია ქართველიშვილი, ქრისტინა ბაზერაშვილი,ანა კეკლიშვილი,ჰაიალა სულეიმანოვა, რაილა კილაძე, ნანა ქურდოვანიძე-ჩიტიძე ნანა, მაია ახვერდაშვილები, ირმა ოსეფოვი, თეა ხოსიტაშვილი და მრავალი სხვა.***

ამ ბოლო დროს მსოფლიო მასშტაბით ძალიან პოპულარული და კითხვადი გახდა მე-20-ე საუკუნის უდიდესი მწერლის ალ. კამიუს წიგნი „შავი ჭირი,“ რომლის მთავარი გმირი და მთხრობელი გახლავთ ექიმი რეი. გასაოცარი ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის შუა ნახევარის წიგნში ასახული პანდემია აბსოლუტური იდენტობით თავს დაგვატყდა ოცდამეერთე საუკუნეში. თუმცა აქ პანდემია, როგორც ყველაზე დიდი აბსტრაქცია, განჯენებული მოვლენა ექიმმა გამოსცადა საკუთარ თავზე. ექიმი, რომელიც მარტო რჩება უცნობი და უმძიმესი სენის წინაშე, ექიმმა რომელმაც დათმო საკუთარი ბედნიერება, სიცოცხლის გარდა, ესეც იმიტომ რომ იგი სხვას სჭირდებოდა. ასე მოხდა ჩვენს სინამდვილეშიც: ბევრი ექიმი იბრძოდა აბსტრაქციის წინაარმდეგ, იყო ბევრი გამარჯვებები და დამარცხებაც,ბევრმა საკუთარი სიცოცხლე დატოვა ბრძოლის ველზე. მსურს გამძლეობა ,მხნეობა ვუსურვო ჩემს კოლეგებს და უპირველეს ყოვლისა ამ ვერაგი მტრის დროული დამარცხება მისურვებია.

ლეილა ოტიაშვილი.

საგარეჯოს „ჯეო-ჰოსპიტალსის“ , თერაპიული მიმართულების, „კოვიდ განყოფილების“ ხელმძღვანელი

სპორტი

საგარეჯოს სტადიონზე ფეხბურთელები გამოჩნდნენ

მიმდინარეობს სამწვრთნელო შეკრებები და ფეხბურთელთა შერჩევა

ფეხბურთის გარეჯელი გულშემატკივრები ძალიან გაახარა 2020 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ლიგაში „გარეჯი-1960“-ის გამარჯვებამ და მეორე ლიგის საგზურის მოპოვებამ. გუნდის მოთამაშეების მხრიდან ეს ნამდვილად კარგი პასუხი იყო იმ მზრუნველობასა და ძალისხმევაზე, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გასწია საგარეჯოს ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციისა და ფეხბურთელებისა თუ მაყურებლებისათვის ნორმალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ერთი სიტყვით, 2021 წლის საფეხბურთო სეზონზე, თუ რაიმე არსებითმა პრობლემამ არ შეუშალა ხელი, გუნდი მეორე ლიგაში ითამაშებს. ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა მთლიანად გუნდისა და მისი ყველა ხელმძღვანელისათვის. კლუბის დირექტორისა და მთავარი მწვრთნელით დაწყებული, მისი თანაშემწეებითა და სხვა პერსონალით დამთავრებული. თუ გავითვალისწინებთ იმ შედეგებს, რასაც დღიდან დაარსებისა ამ სამიოდე წელიწადში „გარეჯი-1960“-მა მიაღწია, კერძოდ შეძლო V ლიგიდან მეორეში აღზევება, ვფიქრობთ, მათ უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვისაც შეუძლიათ წარმატებული ბრძოლა.

ძველი ახალი წლისათვის ფეხბურთელები სტადიონზე გამოჩნდნენ და დაიწყეს ახალი სეზონისთვის მზადება. თითქმის ყოველდღიური ვარჯიშები ჩვეულებად იქცა. ასე იყო 26 იანვრის მზიან დღესაც, როცა მათ სტადიონზე ვარჯიშით დაკავებულებს ვეწვიეთ. აქ იყვნენ გუნდის მთელი ძირითადი შემადგენლობა, ***კლუბის დირექტორი* ლაზარე დათუნაშვილი**, ***მთავარი მწვრთნელი* თენგიზ კობიაშვილი,** , მისი თანაშეემწეები, ასისტენტები, გუნდის ექიმი...

თავდაპირველად ინტერვიუს ჩაწერა კლუბის ხელმძღვანელობასთან გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ბატონმა ლაზარემ ეს „მისია“ გუნდის მთავარ მწვრთნელს „დააკისრა“, რომელიც ამ დროს ვარჯიშს ხელმძღვანელობდა.ვარჯიშის დამთავრებამდე დარჩენილ საკმაო დროში კიდევ ერთხელ დავათვალიერე ახლადრეკონტრუირებული სტადიონი, კეთილმოწყობილი გასახდელი და სამწვრთნელო შტაბის ოთახები...

ამასობაში ვარჯიშიც დამთავრდა და შხაპის მიღების შემდეგ **თენგიზ კობიაშვილმა** ჩვენთან საუბრისთვისაც მოიცალა. როგორც მან გვითხრა, „გარეჯის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობა შარშან მარტის შემდეგ დაუწყია და ამ პოსტზე ყოფნის სტაჟი თითქმის ერთი წელია. აქედან გამომდინარე, უდავოდ ცხადია ის დიდი წვლილი, რაც მან შეიტანა გასულ წელს გუნდის მიერ მოპოვებულ წარმატებაში, თუმცა არასამართლიანი იქნება იმ ღვაწლის დაუფასებლობაც, რაც მის წინამორბედ მთავარ მწვრთნელებს მიუძღვით გუნდის საერთო წინსვლაში 2019 წლიდან მოყოლებული დღემდე.

კითხვაზე – შეკრებებისა და ვარჯიშების გარდა კიდევ რა სახის ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ წარმატებული იყოს თქვენი თამაში მეორე ლიგაში? მწვრთნელმა გვითხრა, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა გუნდი და ახლა მიმდინარეობს ქასტინგი-შერჩევა ახალი ფეხბურთელების ასაყვანად.

ჩვენ დავინტერესდით, ხომ არ არის მოსალოდნელი გუნდში საგარეჯოელი ფეხბურთელების ნიკა კუჭუაშვილისა და გიორგი ნიჟარაძის დაბრუნება, რომლებიც წინა სეზონში თამაშობდნენ ძირითად შემადგენლობაში, თ. კობიაშვილმა გვიპასუხა, რომ მან არც კი იცოდა, საგარეჯოელი ფეხბურთელები გუნდში თუ თამაშობდნენ.

– დღეს სავარჯიშოდ გამოსულ ფეხბურთელთა შორის ვერ შევამჩნიე კოლუმბიელი სტივენ ბერმუდესი, რა არის ამის მიზეზი?

– საქმე იმაშია, რომ წინა ვარჯიშისას მან ფეხის ტრავმა მიიღო და დროებით გამოეთიშა ვარჯიშებს. მოიშუშებს თუ არა ფეხს, ბერმუდესი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს ვარჯიშს.

– გუნდთან არსებულ ასაკობრივი ჯგუფების პატარა გარეჯელი მოთამაშეების მომზადების საქმეში მოსალოდნელი ხომ არ არის რაიმე ცვლილება?

– არა, ისინი ისევე, როგორც გუნდის სათადარიგო შემადგენლობა, ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ ვარჯიშებს და ეყოლებათ საკუთარი მწვრთნელები.

– 2020 წლის საფეხბურთო სეზონზე გარეჯის ფეხბურთელებმა რამდენიმე დასამახსოვრებელი თამაში ჩაატარეს, როცა წაგებული შეხვედრა შემოაბრუნეს, თქვენ, როგორც გუნდის მწვრთნელი, რომელ მათგანს გამოჰყოფდით?

– ის, რაც მისაღებია და მოსაწონი მაყურებლისა და გულშემატკივრისათვის, სულაც არაა მისაღები ზოგადად მწვრთნელისა და პირადად ჩემთვის. ჩვენთვის გუნდის თამაშის შეფასების სხვა კრიტერიუმებია და მე ამ თამაშებს სხვაგვარად ვაფასებ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თამაშები მაყურებლისა და გულშემატკივრებისათვის სანახაობრივად მართლაც მოსაწონი იყო.

– ახლოვდება გაზაფხული და მასთან ერთად საფეხბურთო სეზონის განახლების დრო, თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას, როდის დაიწყება თამაშები მეორე ლიგაში?

– ჯერჯერობით ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ არსებობს და ალბათ მომავალში გახდება ცნობილი. ისე, თუ უფრო ხშირად გვეწვევით რედაქციიდან, ძალიან გაგვიხარდება და ერთგვარი სტიმულიც იქნება ჩვენი ფეხბურთელებისათვის.

– შევეცდებით. თქვენ კი წარმატებულ საფეხბურთო სეზონს და უმაღლეს ლიგაში გადასვლას გისურვებთ, 2021 წელს.

გივი დაბახიშვილი

მართლმადიდებლობა

15 თებერვალი – მირქმა

“**მირქმა**, ანუ მიგებება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი სხვანაირად აღნიშნავს, თანამედროვე ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, მირქმაგულში ჩახუტებას, ანუ გულზე მიკვრას. ვინ მიიკრეს გულში? რატომ მიიკრეს გულში? აი, ამაზე უნდა ვისაუბროთ.

ქრისტეს შობამდე სამი საუკუნით ადრე ეგვიპტის მეფემ პტოლემეოს ფილადელფოსმა მოისურვა, რომ წმიდა წერილი, ანუ ძველი აღთქმის წიგნები ებრაულიდან ბერძნულ ენაზე გადაეთარგმნათ. საქმეს შეუდგნენ მაშინდელი განსწავლული ადამიანები. ისინი იყვნენ სამოცდათორმეტი და განაწილებული ჰქონდათ ეს წიგნები. ერთ-ერთი იყო მათ შორის, კეთილმსახური ადამიანი – სვიმეონი, რომელსაც ესაია წინასწარმეტყველის წიგნი შეხვდა. წმიდა ესაია წინასწარმეტყველი ერთ ადგილას ასეთი რამეს სწერს: “აჰა, ესერა, მიუდგეს ქალწული და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ”(ეს. 7,14). ეს სიტყვები სვიმეონს დიდად დააეჭვებს და გაიფიქრებს: “თუ ქალწულია, როგორ უნდა შვას ძეო”. ის იყო დააპირა სიტყვა “ქალწულის” შეცვლა “დედაკაცით”, რომ უცაბედად გამოეცხადება ანგელოზი და აუწყებს მას, რომ: “სვიმეონ, გწამდეს, რაც წერია და საკუთარი თვალით იხილავ, როგორ აღსრულდება ეს სიტყვები, რამეთუ არ მოკვდები, სანამ არ იხილავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს”.

აი, ასეთი ამბავი უძღვის მირქმის დღესასწაულს წინ. ეს ხდებოდა, დაახლოებით სამი საუკუნით ადრე, ვიდრე ქრისტეს შობამდე. ხოლო უკვე იესო ქრისტეს შობის შემდგომ, როდესაც ის ორმოცი დღის შესრულდა, სჯულისმიერი წესის მიხედვით ოჯახში შობილი პირველი შვილის, პირველი ბიჭის სახელზე უნდა მიტანილიყო შესაწირავი ტაძარში.

ღვთისმშობელმაც, მართალ იოსებთან ერთად აღასრულა სჯულის განწესება და იერუსალიმის ტაძარში მივიდა მსხვერპლის შესაწირად. სწორედ ამ დროს მოხდება საოცარი რამ; როგორც კი შევიდნენ ტაძარში, მათკენ გამოემართება ღრმად მოხუცებული, უკვე სამ ასწლეულს გადაცილებული, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები სვიმეონი. ის სვიმეონი, რომელსაც ანგელოზმა აუწყა, რომ სანამ არ იხილავ ქალწულისაგან შობილ კაცობრიობის მხსნელს, მანამდე იცოცხლებო. წარმოიდგინეთ ახლა თქვენ სვიმეონის სულიერი მდგომარეობა. ის ხომ სამ საუკუნეზე მეტი ხნისაა. რაოდენ დაუძლურებული, მოხუცებული, გატანჯული და გათანგული იქნებოდა იგი ამ ცხოვრებისგან?! რამდენ თაობას გამოივლიდა?! რამდენ ტკივილსა და მწუხარებას გადაიტანდა?!

მოხუცი და მრავალტანჯული სვიმეონი ანგელოზისგან ნაუწყები ყრმის მოვლინების მოლოდინით ცხოვრობს; მუდმივად ტაძრის წიაღში მყოფობს და გაფაციცებით იყურება ტაძრის კარიბჭისკენ. ერთხელაც, სწორედ დღევანდელ დღეს, ტაძარში შემოდის ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში; დაინახავს მას მოხუცი სვიმეონი და სულიწმიდის შთაგონებით მაშინვე ამოიცნობს მასში სამყაროს შემოქმედს და იმ ყრმას, რომლის მოვლინებაზეც იყო დამოკიდებული მისი ამ ქვეყნიდან გასვლა. სვიმეონი დიდი სიხარულით შეეგებება მაცხოვარს, გულში ჩაიკრავს მას და აღტაცებისგან შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით”(ლკ. 2,29). აი, დადგა ჟამი ჩემი განსვენებისაო: „რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი”(ლკ.2,30). ვინც უნდა მეხილა, ვისი სასწაულებრივად ქალწულისაგან შობა ვერ ვირწმუნე, აწ უკვე მოსული და განხორციელებულია. ეს, ერთი მხრივ, იყო სასჯელი ურწმუნოების გამო და მეორე მხრივ, უდიდესი პატივი, რამეთუ მაცხოვარს უნდა შეხვედროდა და უნდა განედიდებინა იგი: „რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა”(ლკ. 2,30-32). ანუ ის ნათელი მარტო სვიმეონისთვის ხომ არ მოევლინა?! არამედ ყოველთა წარმართთა ზედა და ყოველსა ზედა ისრაელსა. განუზომელია მართალი სვიმეონის სიხარული. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ წარმოთქვამდა იგი ამ სულისშემძვრელ სიტყვებს, რომლითაც საკუთარი აღსასრულსაც მოასწავებს და მაცხოვრის შობასაც. შემდგომ სულიწმინდით მეტყველი სვიმეონი ღვთისმშობელს მიმართავს: „თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი, რათა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი”(ლკ. 2,35). ამით ღვთისმშობელს ეუწყა ის უსაზღვრო მწუხარება, რისი მომსწრეც შეიქმნებოდა იგი საკუთარი მხოლოდშობილი ძის ჯვარცმისა და ტანჯვა-წამების სახით.

ამის შემდგომ მართალი სვიმეონის შესახებ აღარაფერს წერს წმიდა წერილი, თუმცა როგორც თავად მისმა ბაგეებმა წარმოთქვეს და საეკლესიო გადმოცემა გვასწავლის, მან მალევე მიაბარა სული უფალს.

აი, ასეთ სასწაულთან არის დაკავშირებული მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ანუ გულში ჩახუტება მისი მხცოვანი იოსებისაგან. თუმცა წმიდა წერილი ყრმა იესოს ტაძარში მიბრძანების ამბავს ამით როდი ასრულებს. სვიმეონის გარდა, იესოს ტაძარში ელოდებოდა ერთი მოხუცი ქალბატონი, ანნა წინასწარმეტყველი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერისა. ამ ქალბატონს თურმე შვიდი წელი უცხოვრია მეუღლესთან ერთად, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ არ განშორებია ტაძარს და თავის ცხოვრებას მარხვასა და ლოცვაში ატარებდა. ის უკვე ოთხმოცდაოთხ წელს იყო მიღწეული. წმიდა ანნა სვიმეონის მსგავსად მაცხოვრის მოსვლას ელოდებოდა. სწორედ ესოდენ სიწმინდის გამო ისიც ღირსი შეიქმნა მაცხოვრის ხილვისა და მკლავთა ზედა მირქმისა.შემდგომ ამისა, წმიდა ანნა ქადაგებდა და ახარებდა მაცხოვრის განხორციელებას „ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოხსნასა იერუსალიმს შინა”(ლკ. 2,38). ამრიგად, ამ სასწაულთან არის დაკავშირებული დღევანდელი დღე. იმ უდიდეს სიხარულთან, რომელიც მიიღო მართალმა სვიმეონმა სამსაუკუნენახევარი ლოდინის შემდგომ და წმიდა ანნა წინასწარმეტყველმა საოცარი წმიდა ცხოვრების შედეგად. მათი მოლოდინის აღსრულებით კი ჩვენ მოგვესწავა ორი რამ: ერთი ის, რომ ღვთისმშობელი მარადის ქალწულია და მეორე ის, რომ კაცობრიობას მოევლინა მაცხოვარი.

ღმერთმა ქნას, რომ ჩვენც ასეთივე მოლოდინი გვქონოდეს ღმერთისა, რადგან ყოველი ჩვენი ტაძარში მოსვლა, ეს არის ასევე ქრისტესთან შეხვედრა. სიხარულით უნდა მივეგებებოდეთ ხოლმე ყოველ დილას, რადგან ყოველი დღე ხომ უფალთან შეხვედრის ახალი მოლოდინია. აი, ამ სიხარულით უნდა წარმოვთქვამდეთ ხოლმე ლოცვას, რამეთუ სწორედ ამ შემთხვევაში ხდება ჩვენი გულის კარის გაღება მაცხოვრისადმი და მაშინ უკვე ჩვენ კი არ ჩავიკრავთ მას, არამედ ის მიგვიღებს, ჩაგვიკრავს და მოგვმადლებს თავის უსაზღვრო მადლს.

ღმერთმა მრავალს დაგასწროთ, გაგაძლიეროთ და მაცხოვრისადმი ყოველდღიური მოლოდინით გვამყოფოს, ხოლო მასთან მოლოდინის სიხარული არასდროს გამქრალიყოს ჩვენ გულებში!

ჟურნალი „კარიბჭე“

ახალი სახეები

სულ ახალახანს მივიწყებული – ბედნიერებით გახსენებული



სულ რამდენიმე კვირის წინ სოციალურ ქსელში გამოჩნდა საგარეჯოელი **ქეთი ქიზიყელაშვილის** („ჯეოჰოსპიტალსი“-ს საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის სერვისმენეჯერი) ნახატები, რომლებმაც ფეისბუკის მომხმარებელთა უდიდესი ნაწილის აღფრთოვანება, გაკვირვება გამოიწვია.

„ქეთი, შენ ოქროს ხელები გაქვს!“, „ქეთი გვაოცებ“, „ქეთი რა შთამბეჭდავია“, „ქეთი, კიდევ ველოდებით შენგან საოცრებას“,„რა ფერებია“, წერენ ახალი მეგობრები.



მართლაც, საოცარი სიმსუბუქით, საოცარი მორიდებით, მოკრძალებით „შემოლაგდნენ“ ქეთის ნახატები და შემოიყოლეს უბრალოება, ძალიან, ძალიან დიდი დოზით სითბო, სიყვარული, ღიმილი, სიცოცხლით ტკბობის სიხარული.

ქეთი დღეს ჩვენი სტუმარია თავისი ნახატებით.

– ქეთი, სად სწავლობდი და როდის დაიწყე პირველად ხატვა, თუ გახსოვს შენი პირველი ნახატი, ისიც თუ გახსოვს, ფანქარი პირველად როგორ დაიჭირე ხელში?

– მე -4 საჯარო სკოლა დავამთავრე 2001 წელს.

ძალიან პატარა ასაკიდან ვხატავდი, (თუ ხატვა ერქვა)

სახლის კედლები სულ მოხატული მქონდა ჩემს სიმაღლეზე. (არც მიშლიდნენ მშობლები.)

კარგად მახსოვს, სხვათა შორის ფანქარს ვერ ვიჭერდი კარგად და ვბრაზობდი არ წერს, თქო

თაია, იგივე „თაფლიკო“

ჩემი პირველი ნახატი კარგად მახსოვს, ეს იყო ბორბლებიანი ე.წ. ბელეტაჟი სახლი, დიდი აივინით და ბევრი ქოთნის ყვავილით. რა თქმა უნდა, მე თუ ავხსნიდი რა იყო, თორემ მნახველი ძნელად გაარჩევდა.

– როდის „გაიხსენე“ ბავშვობის დროის ნახატი და შემდეგში „ხანდახან“ მიხატულ-მოხატული“ ესკიზების შემდეგ ხატვა?

–თაიამ გამახსენა რა დიდი სიამოვნებაა ხატვა. თაიას დაბადებამ ჩემში გამოანთავისუფლა თითქოს სივრცე, სადაც არაფრის ადგილი აღარ იყო, ნატვრა რომ დედა გავმხდარიყავი, ავსებდა და ფარავდა ყველაფერს. სხვა არაფერი არ მახსოვდა.

ჩემს ნახატებში არის ის რაც მომწონს, ფერები, სივრცე, ადამიანები...

უამრავი რამ, რასაც ფანტაზია დაიტევს.

ოცნებები, ბავშვობის მოგონებები და ა.შ...

– ვინ არის თაია, იგივე „თაფლიკო“? თუმცა სოცქსელში მას ათასობით ადამიანი იცნობს.

– რაც შეეხება ჩემს “თაფლიკოს” ჩემს თაიას... როგორ უნდა ვთქვა, არ ვიცი.

ყველა დედას უყვარს შვილი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში 16 წლიანი ნატვრის ახდენაა შვილი.

წარმოუდგენელია სიტყვებით გადმოცემა ჩემი ემოციის.

თაიამ სრულიად გადაასხვაფერა, გააფერედა ჩემი სიცოცხლე. იმხელა სტიმული მომცა, იმხელა იმედი გამიჩინა...

ისეთი ძლიერი გავხდი...

საჩუქარია უფლის!

მინდა, ძალიან მინდა ყველა “ჩემნაირი” ქალი ეზიაროს ამ სასწაულს. – შვილის ამქვეყნად მოვლინების სიხარულს.

– ქეთი, შენ ჩვენი, საგარეჯოელებისთვის აღმოჩენა და უფლის საჩუქარი ხარ, წარმატებები, სიხარულები არ მოგკლებოდეს!



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონები: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური